სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 6 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 214 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 214

კვირას, 6 ოქტომბერს დილის 10 საათზე ს. დვაბზუში ეკლესიის გალავანში გურიის სოც. დემ. კომ. ტეტის მიერ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი თფ. აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმის ყოფილი წევრის ამხანაგ

**სამსონ ღლონტის**

ხსოვნის აღსანიშნავათ. კომიტეტის პრეზიდიუმი მოუწოდებს ამხანაგებს და საზოგადოებას დაესწრონ სამოქალაქო პანაშვიდს. (2—2)

---

ალექსანდრა ილიას ასული მაჩაბლისა შვილებით აუწყებს ამხანაგებს და ნათესავთ, რომ დაუვიწყარ ძვირფასს მეუღლის პირველისა, და მეორეთა მამის—ცხინვალში გმირულად დაღუპულის

**გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის**

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება კვირას 6 ოქტომბერს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე პანაშვიდი სასაფლაოზე. (2—2)

---

მწუხარებისაგან გულდათუთქული დედა ნინო კონსტანტინეს ასული მენაბდისა, ძმა ვასო, დაი ქეთო, ბიძა იაკინთე მენაბდე მეუღლით და შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ დღეს, 6 ოქტომბერს სოფ. ფატარში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უძვირფასესი და დაუვიწყარი უდროვოთ დაღუპულ პორუჩიკის

**ერმილე ივანეს ძის მენაბდის**

სულის მოსახსენებლად, რომელიც მოკლულ იქნა 29 მარტს ბათუმის ერთ-ერთ ფორტზე ოსმალებთან შეტაკების დროს.

---

დამწუხრებულნი იოსებ გიორგის ძე მშვიდობაძე და მეუღლე მისი ბაბილინა გერმანეს ასული შვილებით: ამალია, ვალენტინა და ჟორჟიკათი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ დღეს, 6 ოქტომბერს სოფ ფატარში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მონათლულის პორუჩიკ

**ერმილე ივანეს ძის მენაბდის**

სულის მოსახსენებლად, რომელიც დაიღუპა 29 მარტს ბათუმის ერთ-ერთ ფორტზე ოსმალებთან შეტაკების დროს.

---

გულდათუთქულნი დედა პელაგია გიორგის ასული, მამა ბარნაბა გიორგის ძე და ნინო და ძმა გიორგი-ჟორჟიკა სურგულაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

**ელენა (კუკურა) გ. სურგულაძე**

დასაფლავება მოხდება დღეს, დილის 11 საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანში.

## ამიერ-კავკასიის ს. დ. ორგანიზაციებს

ამხანაგებო! საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა პარტიულ ყრილობის მოწვევა. ის სამ ნოემბერს უნდა გაიხსნეს.

ნახევარი წელიწადი გავიდა ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდე, მაგრამ თითქო მთელი საუკუნე გასულიყოს, იმდენად მდიდარი იყო ეს პერიოდი დიდი შემთხვევებითა და ცვლილებებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, მას შემდეგ გამოცხადდა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია, დაირღვა უკანასკნელი და წარმოიშვენ რესპუბლიკები—საქართველოს, არარატისა და ადერბეიჯანის.

მძიმე როლი დააკისრა ისტორიამ ჩვენ პარტიას ამ დროს განმავლობაში, რთული და მეტად საპასუხისმგებლო კითხვების გადაჭრა მოგვიხდა.

საბედისწერო და განცდის დღეებში, როდესაც სწყდებოდა ბედი ჩვენი აწმყოსი და მომავლისა, მაშინ, ამხანაგებო, თქვენი ხელმძღვანელი ორგანოს გულის ყური თქვენსკენ იყო მოპყრობილი... დავიწყეთ სახელმწიფოს აღმშენებლობა, რომელთაც სათავეში დგომა გვარგუნა ბედმა... ჩვენ მუდამ აზრთა და მთ მედებათა ერთობით ვიყავით ძლიერნი—მით უფრო ამ დიად წამებში იყო ძვირფასი და საჭირო საერთო აზრი სწორედ ისე, როგორც საერთო თავგანწირულება. და არა ერთხელ დაბადებულა მხურვალე სურვილი ყრილობის მოწვევისა, მაგრამ მძვინვარე ანარქია არ გვაძლევდა ამის შეძლებას. ძალაუნებურათ გვიხდებოდა ბრძოლა და სვლა იმ მიმართულებითა და გზით, რომელსაც გვიკარნახებდა ალღო დემოკრატიისა.

დღეს, როდესაც ჩვენი ცის ტატნობზე ოდნავ მაინც გადაიწმინდა და საშუალება გვეძლევა შევიკრიბოთ, ერთი მეორეს მოვუსმინოთ, ჩვენ ვესწრაფვით აქეთქენ. ჩვენმა ყრილობამ მსჯავრი უნდა დასდვას ჩვენ წარსულ ნამუშევარს, დააფასოს აწმყო და გამოიმუშავოს გეგმა მომავლისა. მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვის გარკვევა და გადაწყვეტა მოგვიხდება ამ ყრილობაზე და საჭიროა წინასწარი მომზადება, რომ მისი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგეს.

მაშ ემზადეთ, ამხანაგებო, მომავალი ყრილობისათვის.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღის წესრიგი:

1) საოლქო კომიტეტის მოხსენება, 2) საკანტროლო კომისიის მოხსენება, 3) ეროვნულ საბჭოს ს. დ. ფრაქციის მოხსენება, 4) მთავრობის წევრთა მოხსენება, 5) დამფუძნებელი კრება და მისთვის კანდიდატების დასახელება, 6) აგრარული საკითხი, 7) მუშათა საკითხი, 8) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 9) ადგილობრივი თვითმართველობა, 10) პარტიული მუშაობა, 11) ინტერნაციონალი, 12) არჩევნები.

სასურველი და საჭიროა აღნიშნული კითხვები გახდეს ფართო მსჯელობის საგნათ ადგილობრივ პარტიულ ყრილობებზე მათ ყოველ მხრივ გასარკვევათ და დასამუშავებლათ.

ორგანიზაციებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი წინადადება ამა თუ იმ კითხვის დღიურ წესრიგში შესატანათ არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ყრილობაზე წარმომადგენლობა—ამიერ-კავკ. ს. დ. მ. ორგანიზაციების წესდების მე 12 მუხლით.

საოლქო კომიტეტი.

## ლატარია

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!
იყიდე ბილეთი
უხვ მომგებიანი,
იაფი: სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ მომგებიანი!

## მებრძოლი კოალიციები

კაცობრიობის მთელი ყურადღება ამ ჟამათ დასავლეთ ფრონტისაკენ არის მიქცეული. ორი მებრძოლი კოალიცია ერთი-მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევს და იარაღით უნდათ მსოფლიოს ბედის გადაწყვეტა.

ჩვენ არა ერთხელ და ორჯელ აღგვინიშნავს, რომ ვერც შეთანხმებისა და ვერც ცენტრალურ სახელმწიფოების კოალიცია გეგემონიას ხელში ვერ ჩაიგდებს და ევროპის ბატონ პატრონებათ ვერ გამოვლენ. ორივე მეომარი მხარე ისეთ ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში იმყოფება, რომ ასეთ მისწრაფების განხორციელებას ვერ შესძლებენ. როგორც გერმანიის, ისე ინგლისის მოკავშირეები ისე ვერ გაიმარჯვებენ, რომ მათ თავიანთ იმპერიალისტების პოლიტიკა სისრულეში მიიყვანონ. თუ ეს მათ ამ ოთხი წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს, მით უმეტეს ვერ შესძლებენ ამ ოთხი წლის დაქანცვა-დაუძლურების შემდეგ. მათი გამარჯვება და გაძლიერება ჩვენის აზრით მცირე და განუვითარებელი ხალხის ხარჯზე მოხდება და მებრძოლ კოალიციების მთავარი სახელმწიფოები თავთავიანთ ტერიტორიას არავის დაუთმობენ. აქ გერმანიის ან საფრანგეთ-ინგლისის სახელმწიფოებს არც ერთი კუთხე არ ჩამოეჭრებათ და მათი ტერიტორია უზრუნველ ყოფილი იქნება. პირიქით ამ სახელმწიფოებს მრავალი ეკონომიური კომპესაციები მიეცემათ და მათ კავშირში სხვადასხვა წვრილი ერები თავისუფალ ერთეულების სახით შევლენ.

ასეთია თანამედროვე მსოფლიო ომის მსვლელობის ტენდენცია მეომარ სახელმწიფოების გაძლიერებულ დემოკრატიის მისწრაფებანი. სხვა ნაირათ ეს ომი არ დასრულდება და სხვა გამოსავალი არ აქვს მას.

მაგრამ ამ ბოლო დროს—დასავლეთ ფრონტზე მომხდარ ამბების გამო, გერმანიის ჯარების უკან დახევის შემდეგ—საზოგადოების ზოგიერთა წრეებს გული გაუტყდათ, პესიმიზმმა შეიპყრო ისინი და გერმანიის დამარცხება უკვე მომხდარ ფაქტათ მიაჩნიათ.

ასეთი პესიმიზმი ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია და გერმანიის დამარცხება შესაძლებელი არ გვგონია.

მართალია გერმანიის ლაშქარი თითქმის ორი თვის განმავლობაში უკან იხევს და მოწინაღმდეგე კოალიციის სასტიკ იერიშებს სათანადოთ ვერ იგერიებს. ეს გარემოება შესაძლებელია სტრატეგიული ხასიათისა იყოს და გერმანიის ბრძოლის უნარის დასუსტება ფაქტათ არ შეიძლება ჩაითვალოს.

ამა თუ იმ სახელმწიფოს ბრძოლის უნარის დაკარგვა შინაურ ძალთა განწყობილების შედეგია და იგი ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული. ამ მხრივ გერმანიის სახელმწიფოში მდგომარეობა ბრძოლის უნარის გაღვივების სასარგებლოთ შეიცვალა. გერმანიის მთავრობას ბრესტ ლიტოვსკის ხელშეკრულობის შემდეგ საშუალება მიეცა გარეშე ქვეყნიდან მრავალი სურსათი და დაუმუშავებელი, ნედლი მასალა შეეტანა და თავისი ეკონომიური მდგომარეობა გამოეკეთებინა. თვით შინაური ეკონომიური ორგანიზაციაც უკეთეს პირობებში ჩადგა. რეიხსტაგის უმრავლესობის ზეგავლენით სასურსათო საკითხი უკეთესათ მოწესრიგდა და სახალხო სალაროში შედარებით მეტმა ქონებამ მოიყარა თავი.

ეკონომიურ ორგანიზაციაზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს შინაურ პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეხლა გარეშეა იქ დიდი ცვლილება მოხდა და პარლამენტი სრულ-უფლებიან ორგანოთ ხდება. დღეს გერმანიას სხვა გზა არ დარჩენია—გერმანიის ხალხი სრულ-უფლებიანი უნდა გახდეს და მისი დემოკრატია საგარეო და საშინაო პოლიტიკაში აქტიურათ ჩაერიოს. დეპეშების ცნობით, ეს უკვე მომხდარ ფაქტათ უნდა ჩაითვალოს და სახელმწიფოს დაცვის საკითხიც მას უნდა მიენდოს.

ასეთი ცვლილება კი უძლიერესი ფაქტორია, რომელიც გერმანიის ხალხის ბრძოლისა და მოგერიების უნარს გაათკეცებს. საზოგადოთ გერმანიის დემოკრატია და მისი მეთაური სოციალდემოკრატიული პარტია, განურჩევლათ მიმდინარეობისა თავდაცვის წინააღმდეგი არ ყოფილა და იგი ისე არ ესმით, როგორც ეს რუსეთის ბალშევიკებმა გაიგეს. სოციალდემოკრატების მემარცხენე მიმდინარეობაც კი, რომელიც ომის საკითხში მემარჯვენე ფრთას საგრძნობლათ დაშორდა თავდაცვის საქმეს არ უარჰყოფს და მუდამ და ყოველთვის მის მომხრედ გამოდის. უკანასკნელები დამოკიდებულებს—შეიდემანის ფრაქციას—ბრალს სდებდენ, რომ ისინი მთავრობას თავდასხმის პოლიტიკაში მხარს უჭერენ და სამხედრო კრედიტებს ხმას აძლევენო. სამაგიეროთ დამოკიდებულები უმტკიცებდენ: გერმანიის მდგომარეობა სერიოზულია, იგი მიუხედავათ იმისა, რომ მოწინააღმდეგების ტერიტორიაზე იბრძვის, მაინც საერთოდ თავდაცვას აწარმოებს. ამ ნიადაგზე იყო მათ შორის დავა-უთანხმოება და ამ ნიადაგზე წარმოიშვა მათ შორის განხეთქილებაც. ბოლოს საქმე იქამდისაც მივიდა, რომ შეიდემანის ფრაქციამ უკანასკნელ სამხედრო კრედიტების დამტკიცების დროს ხმა შეიკავა და სოციალდემოკრატების მემარცხენე ფრთის გავლენას დაემორჩილა.

მაგრამ საგარეო მდგომარეობამ და დასავლეთ ფრონტზე დაწყებულმა შეტევამ გერმანიის ხალხს დიდი საფრთხე კვლავ წინ დაუყენა და ქვეყნის მოგერიებითი საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წინ წამოუყენა. თავდაცვის წარმოება და გარეშე საფრთხის თავიდან აშორება ისე შეუძლებელია, თუ თვით ხალხი არ იქნება თავდაცვის ბატონ-პატრონი და იგი იმპერიალისტების ოპეკიდან არ განთავისუფლდება. მდგომარეობამ აიძულა გერმანიის მთავრობა ძალა უფლება გერმანიის ხალხისათვისაც დაეთმო და თავდაცვის საქმე ამას ეწარმოებინა.

უკანასკნელი გარემოება კი მეტად დიდ მნიშვნელოვანი მოვლენაა. გერმანიის დემოკრატია, და მისი მეთაური პროლეტარიატი, იმდენად მომწიფებულია, იმდენათ შეგნებულია, რომ უკეთუ მას მიენდო სახელმწიფოს თავდაცვის საქმე—მას გარეშე მტერი ვერაფერს დააკლებს და შეთანხმების სახელმწიფოების კოალიციაც ვერაფერს გახდება.

ავგუსტ ბებელს ხშირათ უთქვამს: მიეცით გერმანიის ხალხს უფლება, სახელმწიფოს თავდაცვის საქმე გერმანიის პროლეტარიატს ჰქონდეს და მას თუნდაც მთელი კაცობრიობა მიესიოს, ვერაფერს დააკლებენო.

და, თუ დღეს მართლაც გერმანიის ხალხი საგარეო საქმეში აქტიურათ ჩაერია, თუ მას თავდაცვის საკითხის გადაწყვეტა მიენდო, იგი კოალიციის სასტიკ იერიშებს სასტიკადვე მოიგერიებს და მათ საკუთარ ტერიტორიაზე ფეხს არ დაადგმევინებს.

აქ მას არც ბულგარეთის, არც თუ ოსმალეთის მის კოალიციიდან გასვლა, ბრძოლის უნარს ვერ დაუკარგავს და მტერი მას ზიანს ვერ მიაყენებს. შეგნებულ დემოკრატიის ძალა დაუშრეტელია. თავდაცვის საქმეში დამოკიდებულ სოციალ-დემოკრატიას ბოლოს დამოუკიდებელ სოციალისტებიც შეუერთდებიან და მით შეიქნება ის ძლიერი ძალა, რომლის დათრგუნვა არ შეუძლიან მთელი ქვეყნის იმპერიალისტებს.

ასეთ პირობებში გერმანიის დემოკრატია წამოაყენებს დემოკრატიულ ზავს და ყველა ქვეყნის დემოკრატიას ასეთ პირობებით წარუდგება. თუ მოწინააღმდეგე სახელმწიფოების დემოკრატია გერმანიის ხალხის ასეთ მოთხოვნილებას მხარს არ დაუჭერს და მაინც გვერდში ამოუდგებიან თავიანთ იმპერიალისტებს, მაშინ გერმანიის დემოკრატია ისეთ ენერგიით შეუტევს მოწინააღმდეგეებს, რომ მას ვერ გაუმაგრდება ვერავითარი ძალა. გერმანიის ხალხის საგარეო საქმეში აქტიურათ ჩარევა საერთო დემოკრატიული ზავის და სახელმწიფოს თავდაცვის უზრუნველყოფის საუკეთესო თავდებია და ამას ელტვის მთელი კაცობრიობის დემოკრატია.

გერმანიის დემოკრატიას ვერ დაამარცხებს მოწინააღმდეგე კოალიციის იმპერიალისტები და მით ვერ შესძლებენ თავიანთ გეგემონიის განმტკიცებას.

## პ რ ე ს ა

„ჩვენ ვიბრძოდით და კვლავაც ვიბრძოლებთ", ასეთის რევოლიუციონურ რიხით ათავებს თავის მოწინავე წერილს კადეტური გაზეთი „რეჩი".

მერე იცით რას ებრძვის ის? ის თურმე იბრძვის... ადამიანის პიროვნების გაქელვისა და თავისუფლების მოსპობის წინააღმდეგ.

რაშია საქმე?

გაზეთი იხსენებს 30 ენკენისთვის ამბავს ქალაქის საბჭოს სხდომაზე, როცა ყველანი შეერთდენ სოც.-დემ. წინააღმდეგ და უნდობლობა გამოუტანეს, როგორც საგანგებო რაზმს, ისე ქალაქის მთელს გამგეობას. „რეჩი" უბრუნდება ამ ამბავს და სხვათა შორის სწერს:

„საგანგებო რაზმი არსებობს არა სახელმწიფოს დასაცავად, არამედ პოლიტიკურად გაბატონებულ პარტიებისათვის, ის ებრძვის კონტრ-რევოლიუციას, ე. ი. იმ ელემენტებს, რომელნიც სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ არიან".

ასე მარტივათ უხსნის „რეჩი" კითხვას აქაურ რუსებს, რითაც ისინი შეცდომაში შეყავს. საიდან გაიგო კადეტების ორგანომ, რომ საგანგებო რაზმი იცავს სოციალდემოკრატიას და არა სახელმწიფოს. განა ეს რაზმი საქართველოს პარლამენტის მიერ არ არის დაკანონებული?

„რეჩი" ისეა ამხედრებული საგანგებო რაზმის წინააღმდეგ, რომ მისი შემადგენლობის შეცვლითაც არ კმაყოფილდება. ის სწერს:

„რომელი პერსონალური შემადგენლობი დაიჭერს თავს თვითნებობიდან, როცა მას ხელში შეუზღუდავი უფლებები უჭირავს, როცა მას შეუძლია ფაქტიურათ დაატუსაღოს ისე, რომ არავითარი ბრალდება არ წაუყენოს..." და სხვ.

საქმეც ის არის, რომ კადეტური ორგანო უკმაყოფილოა რაზმის არსებობის, რადგან რაზმი ებრძვის სპეკულიაციას და კონტრ-რევოლიუციას, ე. ი. იმ ორ ცოდვას, რომელიც ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ჩვენი ქვეყნის დაქცევის მოსურნეთ. ასეთებს ბლომათ მოუკალათებიათ ქალაქის თვითმართველობაში.

რა უშველის საქმეს? რასაკვირველია, არა „რეჩთან" დავა, არამედ ქალაქის თვითმართველობის გაწმენდა უცხოელ ელემენტებისაგან არსებულ ქვეშევრდომობის კანონის მიხედვით. ამ ვაჟბატონებს არ გააჩნიათ რიგიანობა. რა საჭიროა მათთან ცერემონიები!

## საქართველოს პარლამენტი

4 ოქტომბრის სხდომა.

შ. ამირეჯიბის მოხსენებით საბჭო ამტკიცებს წინა სხდომებზე მიღებულ კანონების საბოლოო ტექსტს.

**კანონ-პროექტი საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ.**

მომხსენებელია პ. საყვარელიძე. ეს საკითხი მაინცდამაინც დიდი პრინციპიალური საკითხი არ არის, მაგრამ ეროვნულმა საბჭომ მაინც დადებითი პასუხი უნდა გასცეს ამ კითხვას. საკონსტიტუციო კომისიაში იყო მრავალი სხვადასხვა წინადადება. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ იყო შემოტანილი წინადადება, რომ საბჭოს ეწოდოს საქართველოს პარლამენტი. სხვა წინადადებები ასეთი იყო: ეწოდოს კრებული, სახალხო საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის საბჭო, საქართველოს ეროვნული საბჭო, პალატა და სხვ. კომისიამ ყველა ეს წინადადებანი უარჰყო და მიიღო, რომ საქართველოს პარლამენტს ეწოდოს რესპუბლიკის დარბაზი. შემდეგ მომხსენებელი ამბობს, რომ არ შეიძლება საბჭოს დაერქვას პარლამენტი, რადგანაც ეს ზოგადი ცნებაა, ყველგან არის პარლამენტი, მაგრამ მასთან საკუთარი სახელიც აქვს ამ საკანონმდებლო ორგანოებს: მაგ. რეიხსტაგი, სეიმი, ნაციონალური საბჭო და სხ. ამიტომ ჩვენს პარლამენტსაც უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელი. ეროვნული საბჭოს დარქმევა მიუღებელია, რადგანაც ჩვენს პარლამენტში მარტო ქართველი ერის წარმომადგენლები არ არიან, არამედ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც შედიან. რესპუბლიკის დარბაზი კი სწორედ გამოხატავს პარლამენტის სახელს. მართალია, დარბაზი ქართული სიტყვა არაა. ის წარმოშობილია სპარსული ენიდან და შემდეგ გაქართულებულია.

არც პარლამენტია ქართული სიტყვა. ყოველ შემთხვევაში ისტორია, ტრადიცია, ჩვეულება და თვით იურისპრუდენცია დარბაზის სასარგებლოთ ლაპარაკობს. დარბაზი არის უდიდესი პალატა, ოთახი, სადაც წინათ მეფობის დროს იკრიბებოდენ რჩეულნი და ბჭობდენ სახელმწიფო საქმეებზე. დღევანდელ „შრომის" ნომერში (ს. რ. ცენტრალური ორგანოა) გამოთქმულია აზრი, რომ ჩვენს პარლამენტს ეწოდოს სახალხო საბჭო. მე ამის წინააღმდეგი ვარ, ეს არ შეიძლება. ჩვენში ბევრი სხვადასხვა საბჭოებია, პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, ქალაქის საბჭო, მუშათა საბჭო და სხვა. ეს ხალხს აერევა. პირადათ მე, არა როგორც კომისიის წევრი, არამედ როგორც პ. საყვარელიძე, მომხრე ვიქნებოდი ყველა დანარჩენი წინადადებისა, გარდა სოც.-დემოკრატების მიერ შემოტანილისა. ისინი მოითხოვენ პარლამენტს დავარქვათ პარლამენტიო. ამას მე პირადათ ვერ შევურიგდები. ამიტომ ვიცავ კომისიის მიერ მიღებულ აზრს, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ეწოდოს რესპუბლიკის დარბაზი.

**სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მოითხოვს საკანონ. ორგანოს ეწოდოს საქართველოს პარლამენტი.**

ალ. ლომთათიძე. ძალიან ეცადა მომხსენებელი დაემტკიცებინა, რომ საქართველოს პარლამენტის სახელწოდება არ ვარგაო, მაგრამ რამდენადაც იგი ცდილობდა, იმდენათ შთაბეჭდილება პარლამენტის სასარგებლოთ იქმნებოდა. მან ჩვენი წინადადების წინააღმდეგ ვერ წამოაყენა ჯეროვანი საბუთები.

პრინციპიალური მოსაზრება აქ მოსატანი არ არის. პრაქტიკულ ნიადაგზე თუ დავდგებით, მაშინ უნდა უარვყოთ ბ. მომხსენებლის წინადადება, რომელიც იმდენათ არ არის მასსაში ცნობილი, რამდენათ სიტყვა პარლამენტი.

აქ მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ არსებობს, რომ პარლამენტისათვის საკუთარი სახელი არ ეწოდებინოს, პარლამენტი კი ზოგადი ცნებააო. მართალია, პარლამენტი ზოგადი ცნებაა, მაგრამ დამეთანხმება თვითონ მომხსენებელი, რომ ამ სახელს უფრო კარგად იცნობს ჩვენში ფართე მასსა, ვინემ დარბაზს. ასში ორმა თუ იცის თუ რა არის დარბაზი, ის სხვადასხვა ნაირათ ესმით სხვადასხვა კუთხეებში. პარლამენტს კი ყველა იცნობს, დიდი ხანია ჩვენ, როცა ამის საშვალება მოგვეცა პრესით, სიტყვით და სხვა საშუალებით უნერგავდით და უხსნიდით ხალხს თუ რა არის პარლამენტი, როგორია პარლამენტარული წყობილება და სხვა. ამისათვის ხალხს არა ერთი და ორი მსხვერპლიც გაუღია, ამიტომ მოვითხოვთ ჩვენ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს ეწოდოს საქართველოს პარლამენტი. ამბობენ, ეს საკუთარი სახელი არ იქნებაო. მე მიკვირს თუ რომელ პარლამენტს ეწოდება გარდა ჩვენისა, საქართველოს პარლამენტი. აშკარაა, რომ ეს საკუთარი სახელია.

მომხსენებელმა აქ განაცხადა, რომ რა სახელიც გინდათ უწოდეთ, ოღონდ პარლამენტს ნუ დაარქმევთო. ხოლო არც ერთი მოსაზრება, რომ დარბაზს ხალხი უფრო გაიგებს, ვინემ პარლამენტს, აქ არ მოუყვანიათ. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მხოლოდ ერთ მოსაზრებას—სახელმწიფოებრივი მოსაზრება. ეს იმაში გამოიხატესა, რომ მეფობის დროს რაღაც პარლამენტარიზმის მსგავსი იყო და მეფის დიდ ოთახში იკრიბებოდენ რჩეულნი და მსჯელობდენ სახელმწიფო საქმეებზე. ეს მოსაზრება რომ ხალხს უთხრათ, არ ვიცი მაშინ როგორ შეხედავს თქვენს პარლამენტს, ამით ნდობას დაჰკარგავს საკანონმდებლო ორგანო. დღეს ისედაც ძლიერად მუშაობენ პროვოკატორები და ხალხს ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ, ესეც მათ ხელში მშვენიერი საპროვოკაციო მასალა იქნება.

ამიტომ ჩვენი ფრაქციის გადაწყვეტილება ძალაში რჩება და მე წინადადება შემომაქვს, რომ კომისიის დადგენილება უარყოფილ იქნას და მიღებულ იქნას ჩვენ მიერ წარმოდგენილი სახელწოდება: საქართველოს პარლამენტი სხვა წინადადებებზე მე არაფერს ვილაპარაკებ რადგანაც დანარჩენ ფრაქციებს არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი და დებულებები.

სოც.-რევოლიუციონერები მოითხოვენ საბჭოს დაერქვას სახალხო საბჭო.

**ჩერქეზიშვილი** (ს.-რ.) ჩვენ არ დავეთანხმებით ს. დემოკრატიული ფრაქციის მიერ შემოტანილ წინადადებას. პარლამენტი ზოგადი ცნებაა და იმის მიღება შეუძლებელია. ჩვენი ხალხი ხშირად ეტანება ამა თუ იმ უცხო სიტყვას, ხოლო მისი მნიშვნელობა ნაკლებათ ესმის. მაგ. იმერეთში შვილს დედა ხშირიდ უძახის, „პორავოზს“. ასეა პარლამენტიც გავრცელებული ხალხში. ჩვენი პარლამენტის სახელს ძირიანად შეცვლის საქართველოს დამფუძნებელი კრება, ხოლო მანამდე სულ ერთია, რაც არ უნდა დავარქვათ, რადგანაც ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში დღეს მონაწილეობას იღებენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხნი, ამიტომ ჩვენი ფრაქცია მოითხოვს ჩვენს პარლამენტს დაერქვას სახალხო საბჭო.

**ს.-ფ. წინადადება პარლამენტს დაერქვას საქართველოს რესპუბლიკის საბჭო.**

**შ. მიქელაძე** (ს. ფ.) ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა იმ აზრის არის, რომ არც პარლამენტი და არც დარბაზი არ გამოხატავს იმ ცნებას, რომელსაც უნდა შეიცავდეს. ჩვენს ხალხს აქვს სიტყვა საბჭო შეთვისებული, ეს სიტყვა წინეთაც იხმარებოდა და დღესაც იხმარება, ხალხი მას იცნობს, ამიტომ ჩვენი ფრაქციის უმრავლესობა მოითხოვს ჩვენს პარლამენტს ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის საბჭო.

**რ. გაბაშვილი.** მე კერძოთ გამოვდივარ. თუ დარბაზი მეფეებისაგან არის შემოღებული, პარლამენტიც მათ მიერ არის შემოღებული (გეგეჭკორი ადგილიდან: „არა, მეფეების შემოღებული არ არის, მეფეები აიძულეს შემოეღოთ). შეიძლება იმიტომ ილაშქრებენ დარბაზის წინააღმდეგ, რომ რომელიმე დეპუტატს არ შეეფერებოდეს დარბეისელისა ხელის.

**თავმჯდომარე:** ბ. გაბაშვილო, ცოტა ფრთხილად დაიჭირეთ თავი, ასეთი სიტყვების დაშვება შეუძლებელია.

**ექ. თაყაიშვილი.** ქართველებს ერთი თვისება გვაქვს: ძალიან გვიყვარს უცხო სიტყვების ხმარება, ეს სენი ეხლაც ძლიერ გავრცელებულია. ძველად, როცა უფრო ბიზანტიის გავლენა იყო, ტერმინებიც ბიზანტიური იყო, შემდეგ კი, როცა სპარსეთის კულტურის გავლენა შეიქნა ტერმინებიც სპარსული გავრცელდა, დღეს კი, როცა ევროპის გავლენა გაძლიერდა ტერმინები და სახელებიც ევროპიული ვრცელდება. ჩვენ დღეს აღვადგინეთ ჩვენი სახელმწიფო და საჭიროა დავანებოთ თავი სხვისგან სესხებას, რომ დავარქვათ დარბაზი ეს მარტო არ კმარა. გლეხობა დარბაზს უძახის თავის დიდ ოთახს, სადაც ის იღებს სტუმრებს, თუ დავარქმევთ დარბაზს, უნდა დაუმატოთ სიტყვა სეფე და ვუწოდოთ სეფე-დარბაზი. ჩემის აზრით უფრო შესაფერი სახელი იქნება დავარქვათ საბჭო. ეს ნამდვილი ქართული ენაა ბჭობა, ბჭენი, ეს იხმარებოდა ძველათაც და ახლაც იხმარება.

კამათი შესწყდა. კენჭი ეყარა ყველა წინადადებებს. 40 ხმით, 30 წინაღმდეგ გავიდა სოც. დემოკრატების წინადადება ყველა ფრაქციებმა ამ წინადადების წინააღმდეგ მისცეს ხმა. დანარჩენ წინადადებებს ყველა ფრაქციები შეერთებულად აძლევდენ ხმას.

**კანონ-პროექტი 1909 წლის მარტის 18 ს კანონის პენსიათა და ერთდროულ შემწეობათა წესდების გაუქმებისა.**

**ი. ბარათაშვილის მოხსენ.** უკამათოდ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი, რომლის ძალით პენსიების და შემწეობათა მიცემა ესპობათ იმ პირთ, რომელთაც ისინი ეძლეოდათ 1909 წლის 18 მარტის კანონის ძალით. პოლიტიკურ მიზნით ჩადენილ ბოროტმოქმედებით მათთვის მიყენებულ ზიანის გამო. ა. ს.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

4 ოქტომბერი.

**მოსკოვი.** ც. ალმ. კომიტეტის ბიულეტენი: ხარკოვი. როსტოვის სამხ. სასამართლომ სტრაშევსკის მიუსაჯა სიკვდილი დახვრეტით

**რიაზანი.** აღმასრულებელმა კომიტეტმა ყველა კერძო სავაჭროების ნაციონალიზაცია მოახდინა, გარდა კოოპერატივებისა.

**სტამბოლი.** თალაათ ფაშამ სთქვა, რომ ბერლინში მოლაპარაკება დამთავრდა ოსმალეთის ყველა ინტერესების დაკმაყოფილებით. მოკავშირეთა პირველი ზომები ბულგარეთის ამბების ლიკვიდაციისკენაა მიმართული. ოსმალეთის მთავრობის მიერაც მიღებულია ყველა ზომები.

**კოპენჰაგენი** გელსინგფორსიდან მოსული ცნობებით ტროცკისთვის ჟსროლიათ ციმბირის ქალაქ ბაიანსკში. ტროცკი დაჭრილია ტყვიით მხარში, მაგრამ არა სასიკვდილოთ.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობებით, იაპონიაში შესდგა მინისტრების ახალი კაბინეთი. კატო რჩება საზღვაო მინისტრად

**ბერლინი.** ტრანს-ოკეანეს პრესის ცნობა... (დასაწყისი არაა) ჯერ-ჯერობით არ გვაქვს საფუძველი მღელვარედ და მოუსვენრად ვიყოთ, ჩვენ გვინდა ზავი, მაგრამ გავაკეთეთ ყველაფერი ფრონტის გასამაგრებლათ და ვმოქმედობთ ჩვენ მოკავშირეებთან სრული თანხმობით.

ნეიტრალური სახელმწიფოთა პრესაც მშვიდათ უყურებს მდგომარეობას, დანიის გაზეთი „ფრინდლი“, რომელიც კარგი თვალით უცქერის შეთანხმების სახელმწიფოებს, იტყობინება, რომ მალინოვის ნაბიჯით იგი არცაა გაკვირვებული. „ნო-კურანტი“ კი სწერს: „ბულგარეთის ნაბიჯი გერმანელებისთვის არ იყო მოულოდნელი. საკვირველია ის ცივი ანალიზი, რომლითაც რეიხსტაგის მთავარი კომიტეტი არკვევს შინაურ მდგომარეობას“.

5 ოქტომბერი.

**ბერლინი.** ფლანდრიაში მოწინააღმდეგეს იერიშები მოჰქონდა ხოგლედეს და როზელერს შუა. ბავარიის და შლეზვიგის ჯარებმა მოწინააღმდეგე უკუ აგდეს და ტყვედ წამოიყვანეს 100 კაცი.

ბოინის ლაშქარი. ლე-კატელეს და სენ-კანტენის ჩრდილოეთით ფართე ფრონტის გარღვევას შეეცადენ ინგლისელები. მათ შესძლეს ლე-კატლეს აღება და შეიჭრენ სეკეხარტში. საქსორეისკის და ლორენის ბათალიონებმა იერიშით აიღეს ბრეგენი. სეკეხარტი დარჩა მტრის ხელში. საღამოს სენკანტენის სამხრეთით მოწინააღმდეგემ იერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენ ხაზთან დამარცხდა.

გერმანიის კრონ-პრინცის ლაშქარი. შამპანში ფრანგებს იერიშები მოჰქონდათ სიუპის და ენს შუა ფართე ფრონტზე მათ ზურგს უმაგრებენ ახალი მოსული ფრანგების და ამერიკელების დივიზიები, პი ვესტფალიელები და მსროლელი პოლკები წინააღმდეგობას უწევდენ მტერს და წამოიყვანეს 100 მდე ტყვე. ლირის სამხრეთით და მონტუას სამხრეთ-დასავლეთით სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა. გვარდიის პოლკელებმა აქ მოწინააღმდეგენი უკუაგდო. ბავარიის საპიორების დახმარებით მოწინააღმდეგეს ხელ-ახლა წავართვით შალერონეი.

**ბერლინი.** საღამოს ცნობა. მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები როზელერის ორივე მხრით და სენ-კანტენის ჩრდილოეთით და შამპანში.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**პარიზი** სენ-კატენი ფრანგებმა აიღეს. ჩრდილოეთის ფრონტზე ფრანგები განაგრძობენ შეტევას. ჩვენ ავიღეთ რუსიბიენკური, ბუფინარეი, ვილლეი, ფრაკლეი და ოროიკურმი.

15 ივლისიდან 30 სექტემბრამდის მოკავშირეთა ჯარებმა ტყვეთ წაიყვანეს 5,518 აფიცერი, 148,494 ჯარისკაცი, ჩაიგდეს 3,669 ზარბაზნები და 23,000 ტყვიისმფრქვეველზე მეტი.

**ბერლინი.** მთავრობის კრიზისი გრძელდება. საკანცლერო კანდიდატს მაქს ბადენსკის მოლაპარაკება ჰქონდა პარტიების ლიდერებთან. ს. დ. თანახმა არიან პრინცის კანცლერად არჩევაზე. კონსერვატორები პარლამენტის საწინააღმდეგო კომპანიას ეწევიან. ცნობები ბულგარეთიდან გაურკვეველი და ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. მოკავშირენი სოფიიდან 80 კილომეტრის მანძილზეა. შემოღებულია მკაცრი წესები. 9 ს. შემდეგ ქუჩებზე ყოფნა აკრძალულია. მალინოვი მოქმედობს ბულგარეთის ყრილობასთან შეთანხმებით.

**ბერლინი.** ინგლისის შინაური მდგომარედბა გამწვავებულია. ირლანდიაში დევნა გრძელდება. კლეიდოკში ვერფები ერთი კვირაა გაიფიცენ. გაფიცვამ რევოლიუციონური ხასიათი მიიღო. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებში ძლიერი აგიტაცია გაფიცვის სასარგებლოდ. ბურჟუაზიული პრესა მოითხოვს რეპრესიებს.

**სტოკჰოლმი.** პარიზში სოციალისტურ ფედერაციათა კონგრესზე გაიმარჯვეს ლანგეს მომხრეებმა. გამოიტანეს რეზოლიუცია რუსული (?) და სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ.

**მოსკოვი.** გუშინ შესდგა სხდომა მოსკოვის „სოუდეპის“ ალმ. კომიტეტისა. გამოაქვეყნეს ლენინის წერილი, რომელშიაც აწერილია საერთაშორისო მდგომარეობა და ნაჩვენებია ის ნიშნები, რომელიც წინამორბედია მომავალი ქუხილ-ქარიშხალისა. ტროცკიმ ილაპარაკა იმპერიალისტური სასაკლაოს, ვილსონის და ლოიდ ჯორჯის შესახებ.

**კიევი** გრძელდება შეტაკება აჯანყებულთა უკრაინის და გერმანელების ჯარებთან. რამდენიმე ქალაქში საალყო წესები გამოაცხადეს.

# ძველი მოხელეები

რევოლიუციამ, როგორც უცბათ ამოვარდნილმა გრიგალმა, მხოლოდ შეატორტმანა, რამდენადმე შეარყია ნიკოლოზის დროინდელი დაწესებულებანი და იქ გამეფებული მოხელეები, ხოლო სამუდამოთ მისი დამხობა, გაუქმება მან ვერ შესძლო.

მართალია რევოლიუციამ რევოლიუციონური ორგანიზაციები მრავლად წარმოშვა, მაგრამ მან ძველი დაწესებულებები და შიგ გაბატონებული მოხელეები ვერც გააუქმა და ვერც განდევნა. დღესაც მრავლად მოიპოვება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულებებში ნიკოლოზის მომღერთებელ-მადიდებელნი და რეაქციის მოციქულნი.

მთავრობის დაწესებულებაში ისეთი პირები უნდა იყვნენ პასუხსაგებ ადგილზე დანიშნულნი, რომ იგინი სრულიად გამოხატავდენ და ასრულებდენ მთავრობის დადგენილებას და ხელს უწყობდენ სახელმწიფოს აღორძინება-აშენებას, სამწუხაროთ, მთავრობის ზოგიერთ დაწესებულებებში ეს ასე არ ხდება, და არა თუ ხელს უწყობენ საქართველოს გაძლიერება გამაგრებას, არამედ მათი მოქმედება იქითაა მიმართული, რომ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას ძირი გამოუთხარონ.

და განა შეიძლება ასეთ პირების მთავრობის დაწესებულებებში დანიშვნა.

საქართველოს მუშათა კლასის, დემოკრატიის მთელი სიმპატია, ნდობა და თანაგრძნობა მთავრობისაკენაა, აშკარაა, მთავრობის დაწესებულებებშიაც ისეთი პირები უნდა იყვენ პასუხსაგებ ადგილზე დანიშნულნი, რომ მათ შორისაც სრული თანხმობა, კეთილი განწყობილება არ დაირღვეს.

ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებათ უნდა ჩაითვალოს ექსპედიცია, სადაც ფული იბეჭდება. ამ დაწესებულებაში საქმე ვერაა კარგათ დაყენებული: მუშებსა და ადმინისტრაციის შორის დიდი უფსკრულია გათხრილი. ამ დაწესებულებაში დაახლოვებით ასი კაცი მუშაობს. ამათა აქვთ ავტონომიური კომისია, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყოველ შემთხვევაში მიზან შეწონილად და წინდახედულათ მოქმედებს. მიუხედავათ ამისა, ადგილობრივ ადმინისტრაციისა და მუშებს შორის ვერაა კარგი განწყობილება. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მუშები თავის დროზე ვერ იღებენ ჯამაგირს.

სწორედ ამაზე იტყვიან: სხვისა მაცხონებელიო, დარჩა უცხონებელიო.

ადმინისტრაცია ყოველთვის იმას აცხადებს, რომ ფული არ არისო. მართალია ეს? ამას შემდეგიდან დავინახავთ.

უკანასკნელ ჯამაგირების მიღების დროს ადმინისტრაციამ განუცხადა მუშებს—ფული არ არისო. ასეთ სისტემატიურ აბუჩათ აგდებისა და დაუდევრობის გამო მუშები უკმაყოფილონი დარჩნენ და ადგილობრივ მოიწვიეს მუშების საზოგადო კრება. კრებამ გადასწყვიტა არ ემუშავნათ მანამ, სანამ ფულს არ მიიღებენ. ამასთანავე ამოირჩიეს კაცები და გაგზავნეს იქ, სადაც ჯერ არს. აქ აღსანიშნავია ის, რომ ადმინისტრაციამ ყურებიც კი არ გამოიჩიჩქნა და უყურაღებოთ დასტოვა ყოველივე ეს.

მუშების წარმომადგენელმა ინახულა და ყველაფერი გადასცა შრომის მინისტრს ამხ. გიორგი ერაძეს. მან სასწრაფოდ გამოიხმო ტელეფონთან ექსპედიციის გამგე ბ-ნი ქურდიანი. უკანასკნელი უპასუხებს, რომ ფული არა გვაქვსო. როცა ერაძე ეკითხება: რამდენია საჭიროო, ქურდიანი უპასუხებს: ოცი ათასიო. ამას შემდეგ ერაძე ატყობინებს, რომ მას შეუძლიან დროებით 10,000 მანეთის მიცემა, მაგრამ ამაზე გამგე უარობს: ოცი ათასია საჭიროვო. შემდეგ მინისტერი ეუბნება: მე თვითონ მოვალ რამდენიმე წუთში და შეიძლება მუშები დავითანხმოთო.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ რაკი მუშებმა ერაძისაგან ასეთი დაპირება მიიღეს, იგინი მაშინვე შეუდგენ მუშაობას.

სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ერაძე ექსპედიციაში მოვიდა, მაგრამ ბ-ნი ქურდიანი სასადილოდ წაბძანებულიყო... თუ რამდენად აინტერესებდა მუშების უფულოდ დარჩენა და მინისტრის იქ მისვლა ბ-ნ ქურდიანს, ეს ზემო მოყვანილ ნიმუშიდანაც აშკარად სჩანს. მაგრამ უმთავრესი ეს როდია. საქმე იმაშია, რომ, როგორც იქამ ფულის დარიგების დროს გამოირკვა, ჯამაგირებისთვის ფული 20,000 მანეთი კი არ ყოფილა საჭირო, როგორც გამგემ განაცხადა, არამედ 8,000 მანეთი.

აი ძაღლის თავი სადაა დამარხული!

ვინ იცის, იქნება ეს ადმინისტრაციის მხრივ წინდაწინვეც იყოს მოფიქრებულ-აწონილი? იქნება ხელოვნურადაც იწვევენ ამგვარ გაფიცვებს!

მაგრამ განა ამ ხურდა ფულის სიმცირის დროს ეს მისატევებელია!

საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება.

მიხაკო.

# ახალი ამბები

**კრება.** დღეს დილის 11 საათ. დანიშნულია ქ. საბჭოს სოც. დემოკრ. ფრაქციის კრება. ყველას დასწრება სავალდებულოა.

**◆ საქართველოს პარლამენტი.** ამიერიდან საქართველოს ეროვნულ საბჭოს ეწოდება „საქართველოს პარლამენტი“.

**◆ შრომის სამინისტრო სთხოვს** სამხედრო მინისტრს აუხსნას მისდამი რწმუნებულ დაწესებულებების უფროსებს, რომ პროფესიონალურ კავშირსა და სხვა მუშათა ორგანიზაციებს, რომლებიც გამომხატველნი არიან მუშათა ინტერესების; სრული უფლება აქვთ სამხედრო უწყებაში მოითხოვონ მუშათა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ მიზნით დაწესებულების უფროსებს წარუდგენ შესაფერ მოთხოვნილებით, რომლის შესრულება უნდა მოხდეს მხარეების შეთანხმებით.

**◆ მილოცვის დეპეშა.** ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მთელი გურიის დემოკრატიის სახელით უცხადებს მას სრულ ნდობას და აღუთქვამს მხარის დაჭერას ყველა მის განკარგულებაში და იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა დაეხმარება დემოკრატიულ ერობას საერობო საქმეთა, გურიის ხალხის საკეთილოთ მოწყობაში.

**◆ ბორჯომის მუშათა კონფლიქტის** მოსაწესრიგებლათ გაგზავნილი ი. გოლდმანი თფილისში ჩამოვიდა. გუშინ ის მოხსენებით წარუდგა მიწათ-მოქმედების მინისტრს.

**◆ თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ლექციების კითხვა სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის ყველა დარგებში დაიწყება 10 ოქტომბერს. დანარჩენ ფაკულტეტებზე ახლო მომავალში დაიწყება ლექციების კათხვა და ცალკე გამოცხადდება გაზეთებში.

**◆ ხიდის დაწვა.** მცხეთიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ 4 ოქტომბერს საღამოს 10 საათზე გამოურკვეველი მიზეზების გამო მცხეთიდან 27 ვერსის მოშორებით დაიწვა ხიდი 1 ნახ. საჟე...

# სიკვდილი

(ეტიუდი ციხის ცხოვრებიდან).

საღამოს ჟამი იყო. ციხის უფროსის თანაშემწემ ჩამოუარა ციხის ახალ შენობას, რომელიც პატარა ოთახებათ იყო დაყოფილი, თითოში ორი და გაჭირვების დროს სამი ტუსაღი იმყოფებოდა.

კიბის მარჯვნივ, განაპირას, ოთხი ოთახი იყო, თითქმის განმარტოვებული, რომელთაც ცალკე მეთვალყურე ჰყავდათ მიჩენილი... სიკვდილით დასასჯელ ტუსაღებს იქ ამყოფებდენ. არა ჩვეულებრივი სახის გამომეტყველება თანაშემწისა ამტკიცებდა, რომ მას რაღაცის თქმა უნდოდა ცალკე მეთვალყურისათვის, მაგრამ თითქოს ვერ ბედავდა, ეზარებოდა და ეტყობოდა იტანჯებოდა კიდეც. ის რამდენჯერმე კარებთან მისული უკან გამობრუნდა და ბოლოს მაინც შევიდა ცალკე განყოფილებაში.

—მეთვალყურე ზეზე წამოდგა, წინ გამოეჭიმა და ჩვეულებრივ მოხსენებას შეუდგა.

— „მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს კეთილშობილებას“.

— „კარგი, კარგი,“—გააწყვეტინა თანაშემწემ.

„იცი!?. ის!.. მესამე ნომრიდან!.. სამნი არიან?“

— „დიაღ, სამნი! სულ თერთმეტნი მაბარიან“.

— „ვიცი! ორი გადაიყვანე მესამედან პირველში—გესმის! მესამეში დარჩება მხოლოდ ლევან №—შვილი“—ბოლოს ნელი ხმით გაბედა და უბრძანა თანაშემწემ.—„მესმის“!.. იგივე ხმით უპასუხა მეთვალყურემ, და ორთავემ თავი ჩაღუნეს.

თანაშემწე სწრაფათ გამოტრიალდა და საჩქაროთ ავიდა კიბეზე.

— „კიდევ ერთი“! — წაილაპარაკა მეთვალყურემ და გატრიალდა მესამე ნომრისაკენ.

როდესაც იმან ჯერ ერთი და მერე მეორე ლევანის ამხანაგები გამოუშვა ოთახიდან, ვითომ საჭიროებისათვის, ლევანი ფიცრულ ტახტზე იყო წამოწოლილი; ფიქრებით გატაცებულს, ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ, როდესაც ამხანაგებს შემოსვლა დაუგვიანდათ, ლევანი მიხვდა რაღაცას, ერთ წამს გაყუჩდა, თითქოს ყურს უგდებს, და მართლაც ყურს უგდებდა, არა ჩვეულებრივი სიჩუმე იყო მესამე სართულში—ყველას გაეგო, რომ ლევანი მარტო დასტოვეს და ეს... ეს სიკვდილის ნიშანი იყო

— „ხვალ გათენებისას ჩამოახრჩობენ“. ყველას გაუარა მწვავმა აზრმა გონებაში და იდუმალებით სავსე ყველა ჩაჩუმდა

— „მეთვალყურევ! გაისმა ლევანის ხმა—რას მიმალავდი?.. გამომათხოვებდი მაინც ამხანაგებს... უკანასკნელად“!..

მეთვალყურემ მიაშურა ლევანის კარს. პატარა კარის ფანჯარაში გამოსჩანდა მხოლოდ ლევანის ფერ მკრთალი სახე.

— „მაპატიევ“... მეც ადამიანი ვარ... გრძნობა... მეც მიმძიმს... უცებ არ მინდოდა!.. თუ არ აღელდები გალაპარაკებ ვისთანაც გინდა... დეე დამსაჯონ ამისათვის! ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა მეთვალყურის სიტყვები აღელვებულის ხმით.

— „გმადლობ!.. ბავშვი ხომ არ ვარ! გიორგი მიჩვენე ღვთის გულისათვის“—უპასუხა ნაღვლიანად ლევანმა. მეთვალყურემ კარი გამიღო, და თითქოს რაღაცას საშინელებას ჩავდიოდით, ორნივე, ფეხაკრეფით, მივიპარეთ ლევანის კარებთან.

— „ისაუბრეთ“. სთქვა მეთვალყურემ და კიბისაკენ სადარაჯოთ წავიდა...

— „ესეც ასე... მორჩა!.. მივბრძანდები გრძელ სოფელს!“... სთქვა ლევანმა, როდესაც მის კართან მივედი.

საშინელი იყო ეს ხუ როზა. ამბობენ, მომაკვდავს ფეხი ეცვლებაო, სახე ეშლებაო, რამოდენათ მართალია არ ვიცი,—მაგრამ ჩამომახრჩობს კი—მართალია. გუშინ იმედით ანთებულნი ბრწყინვალე თვალები ამ ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცისა—დღეს ჩამქრალიყვნენ, სახე გაჰფითრებოდა, თითქოს ოდნავ წმინდა აბლა ბუდა გადაჰკროდა, ტუჩის კუნჭულები ქვევით დაჰშვებოდა, წარბები ცხვირთან მაღლა ასწეოდა—მორღვეული თვალები ღრმად ჩასცვივნოდა კალაპოტში და მთლად სახეს კი დაეკარგა ჩვეულებრივი ჭკვიანი და ამაყი გამომეტყველება.

— „სთქვი რამე, რას გაჩუმებულხარ? ეს ხომ უკანასკნელია“!—გამაწყვეტინა ფიქრი ლევანმა.

— „რა გითხრა?“

— „ნუგეშს არა მცემ?“

— „ნუგეშს? ავათმყოფი ხომ არა ხარ?“

— „ოჰ არა! ავათმყოფი არა ვარ, მაგრამ!.. მაგრამ მომაკვდავი კი!..

„რა უთხრა? რა უთხრა? ბუღლივით მიტრიალებდა თავში კითხვა.

ავათმყოფს, რაც უნდა მძიმე იყოს იგი, ექიმებს რომ სიკვდილიც ჰქონდეთ გადაწყვეტილი, ყოველთვის მოახერხებს ადამიანი, სცეს ნუგეში, ოდნავ მაინც გაუქარწყლოს ტანჯვა, დაამშვიდოს და ზოგჯერ წუთიერი, მაგრამ მაინც იმედი გაუღვიძოს! აქ კი!.. ძალღონით სავსე ადამიანი, ძლიერი სულით, რომელშიაც მთელი მისი საკუთარი მსოფლიოა, თავისი ბედით და უბედობით, თავისი მოძრავი შემოქმედებითი ძალით, მაგრამ! . მომაკვდავი!..

— „სთქვი რამეო“ რა უთხრა? ენისაგან გამოუთქმელი წინააღმდეგობა, საშინელი, რაღაც არა ბუნებრივი მოვლენა...

„ლევან! რასა ბრძანებ?—შევეკითხე მე.

— „უსაზღვრო სიცოცხლის სურვილს! მხოლოდ სიცოცხლე... ბედნიერება — ყური დამიგდე... მითხარ. რისთვის? გიორგი, რისთვის?

ლევანს საშინელი აღელვება დაეტყო.

— „დამშვიდდი“! მინდოდა მეთქვა, მაგრამ სიტყვა ტუჩებზედ შემაწყდა.

— „ოჰ რას ვამბობდი!? ბედნიერებაა მეთქი სიცოცხლე, და მხოლოდ სიცოცხლე. რამდენი ნაწარმოებია მონდომილი ამ პატარა სიტყვის გამოსარკვევად, რომელიც ერთი სიტყვით შეიძლება გამოსთქვას ადამიანმა—ბედნიერება—სიცოცხლეა“.

„ჰო! თუ სიცოცხლეში სიამოვნება სჭარბობს ტანჯვას“.

„რას ამბობ! რის ტანჯვას? ტანჯვას ჩემს სიცოცხლეში შეადგენდა მხოლოდ ფიზიკური ტკივილი. ტანჯვა! გაუთავებელი ტანჯვა არ არსებობს, რაც უნდა ხანგრძლივი იყოს იგი, იმას მაინც ბოლო აქვს, ბოლოს მაინც სიამოვნებაა, როდესაც ნატანჯი გადახედავ წარსულს—აწმყოს თვალით.

— „აი რათ გინდა! სადამდის მივდივარ! რომ დამიჭირეს, ხომ იცი, საზიზღრათ მცემეს, მაწამეს, მტანჯეს, მაგრამ ამ ტანჯვამ ბოლოს სიამოვნებაც მაჩვენა. როდესაც წყლულები დაამდნენ, მწვავე ტკივილი გადაიქცა სასიამოვნო ქავილად, გესმის! სიამოვნებათ!

— „შენ სცდები! ადამიანის შელახული, თავმოყვარეობა ცემით, არაფერია? დამებადა აზრი საპასუხოდ, მაგრამ ვერ ვთქვი რაც მინდოდა.

„აი ეხლა ვლაპარაკობ, ყელში ვგრძნობ ხმის მოძრაობას. ხვალ კი სწორეთ ამ ადგილას წაუჭერს თოკი... ღმერთო რა საზიზღრობაა!.. რა სისულელეა, მომეტებულად იმიტომ, რომ არავის შეუძლია მიპასუხოს, რისთვის არის საჭირო ძალღონით სავსე ადამიანი, რომელსაც, ყოველივე ძარღვით თვისის არსებისა, უსაზღვროთ სწყურია სიცოცხლე, რისთვის ან ვისთვის არის საჭირო ამ არსების არარად ქცევა.

ლევანს თითქოს თვით ლაპარაკი სწყუროდა. თითქოს სურდა უკანასკნელად ედევნებინა ყური სიტყვების გამოთქმისათვის. მე გაჩუმებული ვიდექი, ვიტანჯებოდი და ვერ მომეხერხებინა რა, ან კი რა იყო მოსახერხებელი.

— „არ მინდა! მაგრამ მაინც მოხდება ის, რაც აუცილებელია! რათ არის აუცილებელი? თვით პირუტყვთა შორის არ ხდება ამ გვარი რამ. პირუტყვთ ეძლევათ სახსარი დაიცვან თვისი სიცოცხლე: გიკბინონ, გერჩოლონ, გამოგკრან კლანჭი, ჩვენ-კი?..

— „შენ გინახავს როგორ ახრჩობენ? მომიბრუნდა ლევანი—„არა? მე მინახავს, ჩემდა საუბედუროდ, როდესაც ვმსახურობდი. როგორც ტომარას! თოკს გასაპნავენ, რომ უფრო მალე და მჭიდროთ შამოექნას ყელზე. საზარელია, საშინელი სურათია.

მომქმედნი არ უყურებენ ერთმანეთს, ყველანი გრძნობენ, რომ ჩადიან რაღაცა არა ბუნებრივს, სახეები პირუტყვებს მოგაგონებს, არავითარი ადამიანური მათ არ აჩნიათ. ხელები, მუხლები უკანკალებთ, ზოგს საზარლად ჩამოუვარდება ქვევითა ყბა, ცდილობს შეაჩეროს მისი უცნაური კანკალი, მაგრამ ეს არავის ძალუძს. ყველაზე გასაკვირველი უფრო ის არის, რომ თვით ჩამოსახრჩობს ყველაზე ადამიანური სახე აქვს ხოლმე, და თითქმის ყველაზე მშვიდათ ის იქცევა. რომ მომაგონდება, რომ ხვალ მეც!.. რა უცნაურია! მთელი ჩემი არსება ერთ მძლავრ ყვირილად არის გადაქცეული „მინდა სიცოცხლე!“ და მაინც შეუძლებელია. რა სიბოროტეა! ლევანს სახე სრულიად შეცვლილი ჰქონდა. ის თითქოს დასუსტდა, ნიკაპი უკანკალებდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— „სისუსტეს ნუ დაანახვებ!“ დავაპირე მეთქვა, მაგრამ ლევანმა დამასწრო.

— „ნუ გეშინია, ეს მალე გაივლის, ეს წუთიერია! მითხარი რამე“.

მე გაჩუმებული ვიდექ.

რა მეთქვა არ ვიცოდი; როგორ დამევიწყებინა ადამიანისათვის, რომ მას რამდენიმე საათი ღა აქვს სიცოცხლე.

რამდენი ნატრობს სიკვდილს, როდესაც ცოტა ოდნად სიცოცხლის ნიღრი ეშლება, გამიარა აზრმა.

— „კმარა!“ შემოგვეხმაურა მეთვალყურე.

— „მშვიდობით! თითქმის სიხარულით უთხარი მე.

— „დაიცა! რა გეჩქარება!.. მაგრამ არა, შენც იტანჯები—წადი... მშვიდობით!.. არა დაიცა, ცოტა ხანს კიდევ; ხვალ ხომ იცი მახლობელი აღარავინ მეყოლება გვერდით.

ოოჰ!.. თოკი რომ ჩამოწყდეს მეორეთ აღარ ახრჩობენ თურმე... არა?..

მე გაუბედავად შევხედე ლევანს.

ეს იყო როდესღაც, მართალია! მაგრამ დიდი ხანია ჩვენებიდან გადავარდა.

ეს ლევანმაც კარგათ იცოდა, მაგრამ წყალ წაღებულსავით ხავსს ეჭიდებოდა...

— „ეხლა შენ წახვალ! მე ვცდი იქნებ დამეძინოს? უიმედოთ წამოილაპარაკა ლევანმა... ჩვენ „უკანასკნელად“ ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ.

მე გამოვტრიალდი ჩემს ოთახისაკენ.

———

გათენებისას შემომესმა ბორკილების ჩხარუნი.

„მშვიდობით ვისაც გესმით“ გაისმა ლევანის ხმა...

„მშვიდობით! მშვიდობით! გამოეხმაურა რამდენიმე ტუსაღი და კვლავ სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

———

მეორე დილით, როდესაც თანაშემწე შევიდა სიკვდილით დასასჯელთა განყოფილებაში დასათვალიერებლად—მეთვალყურე გამოეჭიმა წინ და ყოველდღიური მოხსენება დაუწყო:

— „მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს კეთილშობილებას ჩემდა მონდობილ ტუსაღთა რიცხვი გახლავთ ათი!“

მეთერთმეტე ლევანი ტუსაღათ აღარ ითვლებოდა, სიაში მის გვარის პირდაპირ ჩასწერეს:

— „წაიყვანეს ჩამოსახრჩობათ:“

გ. მაჩაბელი.

ნი, რის გამო მატარებლის მიმოსვლა შეწყვეტილია.

**დეპეშა სამხედრო მინისტრს.** „ოზურგეთის საზ…ხლო ხმოსანთა ყრილობა მადლობას უცხადებს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს მოლოცვისთვის. ამასთანავე ყრილობა დარწმუნებულია, რომ ოზურგეთის ყრილობა მიიღებს ყოველგვარ შრომას და ზომებს დემოკრატიული ჯარის შექმნისათვის, რომელიც შეეცდება მუდამ დაიცვას ჩვენი მშვენიერი სამშობლო დემოკრატიული პრინციპები და მისი წესწყობილება. ყრილობის თავმჯდომარე მურვანიძე“.

**გარეშე საქმეთა სამინისტრო** აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ რუსეთის მთავრობისაგან მიღებული ოფიციალური ცნობებით რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობას არ დაუვალებია ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო და მისი თავმჯდომარე ლებედევი იყვეს ამ მთავრობის წარმომადგენლად საქართველოს წინაშე. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მოკლებულია საშუალებას იცნოს ამიერ კავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო და მისი წარმომადგენელი ოფიციალურ წარმომადგენლად რუსეთის საბჭოთა მთავრობისა.

**შრომის მინისტრის** ამხანაგმა სთხოვა იუსტიციის მინისტრს,—გამოსცეს ცირკულიარული განკარგულება მისდამი რწმუნებულ სასამართლოებისადმი, რომ მუშათა და მოსამსახურეთა საჩივრები, რომელიც გამოწვეული იქნება შრომის პირობებისაგან, ირჩეოდეს პირველად.

**სახალხო გვარდიის მთავარმა** შტაბმა რაიონულ შტაბთა წარმომადგენლებთან ერთად გაარჩია საკითხი ყოფილ აზნაურ—ბაგრატიონ-დავითაშვილის კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლის შესახებ და მოიწონა მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები. შტაბი თხოულობს ისინი გადაეცეს სასამართლოს დასასჯელად. შტაბი უცხადებს მთავრობას, რომ ის ყოველ თავისი ღონით დაეხმარება მას კონტრ-რევოლიუციონერებთან და მავნებელ ელემენტებთან ბრძოლაში.

**ბაქოში.** ერთ კერძო წერილიდან, რომელიც ბაქოდან ეხლახან მიღებულია, ირკვევა, რომ ბაქოში ეხლა ცხოვრება დამშვიდებულია და კალაპოტში ჩამდგარა, უმთავრესად საღრჩობელების რეპრესიების წყალობით.

**ბალშევიკების მეთაურის დატუსაღება.** ონიდან სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ, რომ იქ დაუტუსაღებიად ბალშევიკურ ბრბოების მეთაური ნოე ლეჟავა.

**ქართული იურიდიული საზოგადოება.** ქართულ იურიდიულ საზოგადოების კრება დანიშნულია დღეს კვირას, 6 ღვინობისთვეს დილის 11 საათზე, სასამართლო პალატის დარბაზში. კრების საგანი: 1) წესდების დამტკიცება, 2) გამგეობის, სარევიზიო კომისიის, ხაზინადარის და წიგნთსაცავის გამგის არჩევნები. ქართველ იურისტებს სთხოვენ შეძლების დაგვარად უკლებლად დაესწრენ ხსენებულ კრებას. საორგანიზაციო კომისია.

**ინსტრუქცია.** რედაქციამ მიიღო სახალხო გვარდიის სამტრედიის რაიონული შტაბის მიერ გამომუშავებული ინსტრუქცია სახელმძღვანელოდ ქვეირაიონულ შტაბებს. ინსტრუქციაში სულ 20 მუხლია.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.** დღეს, ღვინობისთვის 6 ს, ნაშუადღევს 1 ელ საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში, საქართველოს განსვენებულის კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ მე 2-ის სახელის პატივსაცემად, უნდა მოხდეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელიც იყო დანიშნული ენკენისთვის 29-სათვის, მაგრამ დამსწრე წევრთა სიმცირის გამო გადადებულ იქნა. მოხსენებებს წაიკითხავენ: 1) მ. გ ჯანაშვილი—„მისი უწმიდესობა კირიონი“ და 2) ლ. მელიქსეტ-ბეგი—„კირიონი რუსულ ისტორიოგრაფიის ასპარეზზე“. კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

**ერობა.** კვირას, 21 ოქტომბერს, სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში შესდგება პირველი სხდომა სიღნაღის მაზ. ერობის ხმოსნებისა. სიღნაღისმაზრის ერობის არჩევნებში სოციალისტურმა ბლოკმა გაიყვანა 37 ხმოსანი, რადიკალებმა 6. სოციალდემოკრატებს ყავთ 24, ფედერალისტებს 13 ხმოსანი.

**ლატარია.** სამშაბათს, 8 ოქტომბერს, ლატარიის გამგე დირექცია, შ. დადიანი, ვ. აბაშიძე და შალიკაშვილი მიემგზავრებიან ქუთაისის გუბერნიაში ლატარიის დღეებისა და ბილეთების ორგანიზაციის მოსაწყობად დასავლეთ საქართველოში.

**ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ხოლერით ავად გახდომის შემთხვევა არ ყოფილა. მორჩა 1 კაცი, გარდაიცვალა 2. 4 ოქტომბრისთვის სულ დარჩა 59 ხოლერიანი და 9 საეჭვო. ამ ზაფხულს ხოლერით სულ ავად გახდა 1038 კაცი, ამათში გარდაიცვალა 608 კაცი.

**გ. ზდანოვიჩის ბიბლიოთეკა.** წ. ქ. გ. საზოგადოების გამგეობამ მიანდო ი. კვიცარიძეს ჩაიბაროს ხსენებული ბიბლიოთეკა-ავეჯი და მოუაროს მას.

**სასწავლებელში.** ელენე თარხანმოურავის პროფესიონალურ სკოლებში გორისა, ხაშურისა და ახალქალაქის მეცადინეობა დაიწყება ოქტომბრის 1-ს ძველი სტილით (ახ. სტ. ოქტ. 14) ხოლო მოწაფეთა მიღება შეიძლება ყოველ დღე. სწავლის ფული 70 მანეთიდან 200-დე.

**სასწავლებელში.** ფოთის სახელოსნო სკოლაში მისაღებ გამოცდები დაიწყება 7 ოქტომბერს, მეცადინეობა 10-ს.

**„ქრისტინე“ ეკრანზე.** გერმანე გოგიტიძემ უკვე დაამთავრა „ქრისტინეს“ გამოცემა ლენტზე და ამ დღეებში პირველათ ნაჩვენები იქნება ქ. თფილისში. სურათები გურიის ცხოვრებიდან არის აღებული.

**თფილისის საამშენებლო** (დურგალ-კალატოზ-მხატვართა) პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა თითონ იდოს თავზე უმუშევარ წევრთათვის საქმეს შოვნა და წერილობით მიმართა ქალაქის გამგეობის საქართველოს რკინის გზის უფროსს, თფილ. სამხედრო განყოფილებას ბინათ მომწყობის უფროსს, რომ ყოველგვარი საამშენებლო საქმისთვის კავშირს მისცენ. აგრეთვე, მოუწოდებს თავის უმუშევარ წევრებს მოვიდნენ ბიუროში და ჩაეწერონ მორიგათ სამუშაოზე.

**მეპურების თავგასულობა.** 4 ოქტომბერს დილის 11 საათზე პუშკინის ქუჩაზე მეპურეებმა ძლიერ გალახეს ერთი მეპურეთაგანი პურის იაფად, 5 მან. 25 კაპ., გაყიდვისათვის.

**ავტომობილის დაჯახება.** 5 ოქტომბერს ოლღას ქუჩაზე გაქანებულ ავტომობილს მოყვა ა. კვირკველია და მძიმედ დაშავდა. ის მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

**უწესოება.** გოგოლის ქუჩაზე ყოველ დღე, დღე თუ ღამე ათასგვარი უწესოება ხდება. საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

**ხაზინის მძარცველი.** 3 ოქტომბერს მთავარ ჰაუტპახტიდან გაიქცა 1-ლ საარტილერიო ბრიგადის შტ.-კ. აზაროვი, რომელსაც ბრალდება 2000 მ. ხაზინის ფულის მოპარვა და სხვა დანაშაულობანიც.

**გაძარცვა.** 4 ოქტომბერს ღამით, კუკიის ქუჩაზე № 3, ა. გრიგორიანცის ბინიდან 5 შეიარაღებულ ბოროტ გამზრახველებმა წაიღეს ფული და ნივთები სულ 26,750 მ.

**მკვლელობა.** 4-ს ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე აფიცერ სანაიამ მოკლა აფიცერი ონუფრიშვილი.

**დატუსაღება.** განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა ი. რევაზაშვილი.

**წარმოდგენა.** კვირას, 6 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ორთაჭალის მუშათა კლუბში საუკეთესო სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ირეთელის პიესა „დამარცხებულნი“. ბილეთები იყიდება ყოველ დღე, მცირეწლოვანი ბავშვები არ დაიშვება, ამისათვის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს საზოგადოებას ნუ წამოიყვანენ მათ თან.

**დატუსაღება** განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა სპეკულიაციისთვის: ვლ. ნარსია, ბორ. გორჩაკოვი, და პოლკ. ალ. გოგიტიძე.

— თფილისის მილიციის უფროსის განკარგულებით, 3 თვით დააპატიმრეს დავით აბულაძე როგორც საზოგადო წესიერებისათვის მავნე პირი.

**თავის მოკვლა.** 3 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე № 43, საკუთარ ბინაზე თავი ჩამოიხრჩო ნ. შჩიკოვსკიმ.

**უწესოება.** კირპიჩნი შესახვევში № 5 გახსნილია სამიკიტნო, სადაც დღე და ღამე ათასგვარ უწესოებას და გარყვნილებას აქვს ადგილი. მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიან ამის გამო. საჭიროა ამას მილიციამ სათანადო ყურადღება მიაქციოს.

**დემოკრატიული კლუბი.** (მუშტაიდი) კვირას, 6 ოქტომბერს ადგილობრივი სცენის მოყვ. წრის მიერ მსახიობ ვ. გამყრელიძისა და პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა „და-ძმა“. ბილეთების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**კონცერტი სეირნობა** პროფესიონალურ კავშირთა სასარგებლოთ, რომელიც დანიშნული იყო 6 ოქტომბრისათვის მუშათა კლუბში, გადაიდვა 13 ოქტომბრისათვის. ნაყიდი ბილეთები გამოდგება.

**„ალიონელთა“ კრება.** კვირას, 6 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, გაზ. „ალიონის“ რედაქციაში დანიშნულია

## ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!..

*ძველ დროს.*

ეჰ, საბრალო ისე იყო, ისე იყო იგი ავათ:—
ყველა გულში ერთს ამბობდა: მოკვდებაო უკურნავათ.
იწვა და ის მწოლიარე სარეცელში კრეჭდა კბილებს,
იწვა იგი, და მშრომელსა სისხლსა სწოვდა ხალხის შვილებს…
შემოდგომის ბუზივითა მომაკვდავი კბენდა ყველას,
სისხლ ღვინოში ჩაალრჩობდა წუთიერათ მუშათ ლხენას…
ძუძუსაც ჩამოაჭრიდა… ხომ კი გახსოვთ: იმ, ჩვენ დედას,
სამშობლოს რომ ეძახიან, ამ ბუნებრივ სალსა მცნებას!..

თქვენ ხომ გახსოვთ: აი აქა, სახრჩობელას ბოძი იყო?!
თქვენ ხომ გახსოვთ: ფუფუნება და შრომა რომ აქ გაიყო?!
თქვენ ხომ გახსოვთ: ყოფნა იგი გააწამეს ჯალათებმა
და ჩვენ შორის ჩვენმა ძმებმა, ჩვენმა დებმა იუდებმა,
რომ გაგვცეს და რომ გაგვწირეს—მტარვალებსო იამება,—
თქვენ ხომ გახსოვთ: ნუ თუ შური ჩვენ ვეძიოთ იმ ლაჩრებზე?!
წმინდა სისხლი დავანთხიოთ უგნურებზე, ჯალათებზე!?
არა! დეე, აქ, იქ ძრწოდენ მომავალთა სანახავათ,
დედა შვილსა უჩვენებდეს, აუხსნიდეს ავსა ავათ.
დეე იყონ, იარსებონ, ჩაერიონ ამ ზღვა ხალხში,
შემდეგ იქნებ ჩაეწერონ ადამიანთა სიაში…

თქვენ ხომ გახსოვთ: აქ რომ დედას მოაგლიჯეს ბავშვი მკერდზე!?
თქვენ ხომ გახსოვთ: იქ რომ მუშა აფრიალეს მახვილ ხიშტზე?!
თქვენ ხომ გახსოვთ: სატრფოს ლოყა ბრჭყალებითა დაკაწრული?!
მიჯნურისა მწარე კვნესა, სიტკბოება განგმირული?!
თქვენ ხომ გახსოვთ: მამა როგორ შიმშილ-ცემით გარდიცვალა?!
თქვენ ხომ გახსოვთ: ქოხმახები მცხოვრებთაგან დაიცალა?!
თქვენ ხომ გახსოვთ: კლდე, ღრე, მთებში, ცივ ზამთარში ხალხი ძრწოდა!
სისხლი, ცრემლი, ხმალი, ტყვია ყველას ჰკლავდა, ძირს ცვიოდა?!
თქვენ ხომ გახსოვთ; მაგრამ… არა; გთხოვთ დამშვიდდეთ… სუ, სუ… წყნარათ!
რაღასაც ვგრძნობთ… ჩუ! არ გესმით?.. რაღაც მოდის სხივ-ნარნარათ!
აი აგერ… ბრწყინავს, გზინავს… რა გალობა: უცხო ტკბილი!..
წამოდექით! სულებია წარსულ დროში დამარხული!
თვითმპყრობელობის მსხვერპლია, ხალხის შვილთა, დაკარგული!..
ის სიმღერაც ძველი არის, თან ახალი და მარადის,
და ვით ტალღა მღელვარე ზღვის მსოფლიოზე დაჰქრის, დადის…
ის მკვდრებია ჩვენი ძმები დღეს რომ გდიან შავ მიწაში,
მივულოცოთ გამარჯვება, ვუგალობოთ გლოვის მარში!

—

თქვენ ხომ გახსოვთ!?.. ერთად ვიყოთ ჩვენ ერთგული მომავალის!..
თქვენ ხომ გახსოვთ!?.. ის, რაც იყო—აღარ არის, აღარ არის!

ქ. თფილისი. — დ. მეჩონგურე.

შეერთებული კრება „ალიონის“ ჯგუფისა და საპარლამენტო ფრაქციისა. პრეზიდიუმი სთხოვს ყველა წევრებს დაესწროს ამ კრებას, რადგანაც ფრიად საყურადღებო საკითხებია განსახილველი.

### ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

კვირას, 6 ოქტომბერს, დილის ათი საათისთვის დანიშნულია სამკურნალო საზოგადოების შენობაში (გიორგის ქუჩა) აფთიაქში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის საერთო კრება. დღიური წესრიგი: ძველს გამგეობის მოღვაწეობაზე მოხსენება და ახალი გამგეობის არჩევნები. თუ ათ საათზე არ შესდგა ქვორუმი, მეორე კრება ინიშნება თორმეტ საათზე იმავე დღეს.

— ხვალ (ორშაბათს) საღ. 6 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის წევრთა არა ჩვეულებრივი კრება. ვინაიდან გასარჩევია ძლიერ სერიოზული კითხვები (მომავალ საოლქო ყრილობის დღის წესრიგი), საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

— მეცხრე საუბნო სასურსათო კომიტეტი იწვევს ყველა მოქალაქეთ და სახლის კომიტეტების წარმომადგენელთ, რომლებიც სცხოვრობენ დაწყებული ვორონცოვის ხიდიდან, მიხეილის ქუჩის ორივ მხარეზე, დიდი-მთავრის ქუჩაზე, ელისაბედის მარჯვენა მხარეზე კიროჩნის ქუჩამდე, კრებაზე, რომელიც დანიშნულია კვირას, 6 ღვინობისთვეს, ხელოსანთა კლუბის შენობაში მიხეილის ქუჩაზე რომ არის დღის წესრიგი: 1) მოხსენება მეცხრე სასურ. კომიტ. წარმომადგენლისა და 2) რაიონის კომიტეტების მოწყობა და გამგეობის არჩევა.

### ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

**სუფსა.** (გურია). სუფსის კოოპერატივმა „იმედმა“ მიიღო ქერი, რომელიც იყიდება 85 მან. ბაზარზე შემოსული სიმინდი 150 მან. მაგივრათ იყიდება 80 მან. ორთქლის წისქვილი უნავთობის გამო აღარ მუშაობს, რის გამო მიდიან მერიაში და ოზურგეთში სიმინდის დასაფქვავათ, რაც დიდ შრომას, გაცდენას და ხარჯს იწვევს.

24 სექტემბერს გურიის სამხ. რევტრიბუნალმა გაარჩია ს. მიქაძის საქმე, რომლის წინააღმდეგ რამდენიმე ბრალდება იყო წამოყენებული. მას მიესაჯა 5 თვით ციხე დღიდან დატუსაღებისა.

**ხ. ონოღია** (სამეგრელო). ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრემ გამართა წარმოდგენა. შემოსავალი იყო 564 მანეთი, რომელიც გადაეცა სკოლის გამგეობას.

## ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 20,050 მან. კრედიტი ათ მილიონიან ფონდიდან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიმდინარე წლის დასახმარებლათ.

—

ბანკებსა და ხაზინაში ფულის გადაგზავნისა და შეტანის შესახებ დადგენილ იქნა მიენდოს გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს საკონვენციო წესების გამომუშავება და წარმოდგენა.

—

უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლების გახსნისა და ზოგიერთის უკვე არსებულის სახაზინო ხარჯზე მიღების შესახებ მოწონებულ იქნას და გადაეცეს ეროვნულ საბჭოს.

—

გაეხსნას განათლების მინისტრს ათმილიონიან ფონდიდან 5,737 მან. 54 კაპეიკის კრედიტი, თფილისის საშუალო სატეხნიკო სასწავლებლების მასწავლებელთა სექტემბრის ჯამაგირებისათვის.

## ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

**ელექტრონის ძალით სარგებლობისა და მისი განაწილებისა ქ. თფილისში.**

ელექტრონულ ენერგიის მიწოდება საძნელო გახდა. არსებულ პირობების წყალობით ელექტრონული სადგურები თანდათან ფუჭდებიან, ხოლო საჭირო ნაწილების და სხვა მასალების უქონლობა აფერხებს მათი შეკეთების საქმეს.

სათბობი მასალა (ნავთი, მაზუთი) მცირედი ღა არის ქალაქში. ამიტომ ელექტრონულ სადგურების მიერ გაღებული ენერგიის რაოდენობა თანდათან მცირდება. ნავთის და სანთლის უქონლობა ბაზარზე თვალსაჩინოთ აზრკოლებს იმ პირთა რიცხვს, რომელთაც სურთ ისარგებლონ ელექტრონის ენერგიით.

საჭიროა, რომ ელექტრონის შუქი მიეცეს იმას, რომელიც სრულიათ არის ამ უკანასკნელს მოკლებული, ყველა ელექტრონის სადგურებს განათების ძალის გაღება შეუმცირდეთ.

უბნების ტეხნიკურ კომისიებს ქუჩების განათება გადააქვთ ტრამვაის ელექტრონის სადგურზე, რითაც ქუჩების განათება უზრუნველ-ყოფილ იქნება. ელექტრონულ სადგურების დატვირთვის შესამცირებლად ქალაქის გამგეობამ თანხმად თავის დადგენილებისა და ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებისა, მიიღო შემდეგი წესები:

მოქალაქეს თავის ბინაზე შეუძლიან იქონიოს თვითეულ ოთახში არა უმეტესი ერთის 25—32 სანთლის ძალის ლამპა. მოქალაქენი მოვალენი არიან თავიანთ ბინებში მეტი ლამპები თვითონვე გააუქმონ და მოხსნან.

ელექტრონის სადგურის პატრონთ ევალებათ თავიანთ აბონენტებს თვალყური ადევნონ, რომ მათ გამორიცხონ მეტი წერტილები და შეასრულონ ეს წესდება.

კინემატოგრაფებს რიგ-რიგით შეუძლიათ მართონ სეანსები საღამოს 9—11 საათამდის ორ დღეში ერთხელ.

ამ წესების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში სასჯელთა კანონის 29 მუხლის ძალით.

რომ აბონენტებს მძლავრი ელექტრონის შუქის ძალა არ მოაკლდეთ და ენერგიის უსარგებლოთ დაკარგვის თავიდან ასაცილებლად სპეციალური კომისიები ახდენენ რაიონების გადანაწილებას ელექტრონულ სადგურთა შორის, მხოლოდ ის სადგურები, რომლებიც თხოულობენ შეკეთებას, შეერთებულ იქნებიან და მისი აბონენტები გადაირიცხებიან სხვა სადგურზე.

ელექტრონულ შუქის გაყვანის მსურველნი განაწილდებიან სამ კატეგორიათ:

1) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი.

2) ის პირნი, რომლებთაც შუქის გაუქმებით ცხოვრების სახსარი ესპობათ და აგრეთვე ის პირნი, რომლების ოჯახში არიან ხრონიკულ მძიმე ავადმყოფნი.

3) ის მოქალაქენი, რომლებიც ამ ჟამად ელექტრონის შუქს არიან მოკლებულნი.

ელექტრონის სადგურების პატრონნი, თუ ტეხნიკური დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს არ შეუშლის, მოვალენი არიან ქალაქის საბჭოს 22 აგვისტოს 1918 წ. გადაწყვეტილობის ძალით, ზემო-აღნიშნულ რიგზე აბონენტები შეიერთონ და მასთანვე ახალი აბონენტების მიერ სიები კვირაში ერთხელ ქალაქის გამგეობას წარუდგინონ.

თფილისის ქალაქის გამგეობა.

## ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ

**ბეგლარ გ. ჩხიკიშვილის ხსოვნას.**

საავათმყოფოში გარდაცვლილა თავდადებული მებრძოლი და პატიოსანი მუშაკი, გუთურის რაიონში კარგათ ცნობილი, წითელ გვარდიელი ბეგლარ გიგილოს ძე ჩხიკიშვილი. ამხ. ბეგლარი იღებდა დიდ მონაწილეობას ანარქიის ჩაქრობაში. ბეგლარი 1905 წლიდან ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში და დარაჯათ ედგა თავის წმინდა რწმენას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის. შენ, ამხანაგო ბეგლარ, სანატრელად მოიხადე შენი ვალი თავისუფლების დაცვის წინაშე.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო ამხანაგო ბეგლარ, სამარადისოთ დარჩება შენი ხსოვნა დემოკრატიის გულში.

შენი ს. ჩიგოგიძე.

— —

**ერისტო ივანეს ძე ციბაძე.**

იმ მცირე რიცხოვან მოწინავე ამხანაგებს, რომლებიც მოქმედებდნენ ვაკის (მუხიანის) რაიონში, 14 მარიამობისთვეს გამოაკლდა ერისტო ციბაძე. ის უსწავლელი გლეხი იყო. 1904 წლიდან ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ს.-დ. დროშის ქვეშ მდგომს ერთხელაც არ უღალატია მისი მოძღვრებისათვის. რაიონში ყოველ კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებების დაარსებასა და მოვლა-შენახვაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ოფშქვითის გლეხობა მას ყველა სადავო საქმეების მოგვარებას ანდობდა და ისიც მათ დავალებას ასრულებდა, რის გამო მათში დიდი სიყვარული ქონდა დამსახურებული. შარშან საყული…ის აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს და სიკვდილამდე ასრულებდა ღირსეულათ დაკისრებულ მოვალეობას. ასეთი ამხანაგის დაკარგვა ჩვენთვის დიდი დანაკლისია.

მშვიდობით ამხ. ერისტო, შენი ხსოვნა სამარადისოთ დარჩება ამხანაგ-მეგობრებ შორის!

ს. სხივიშვილი.

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

3 ოქტომბერს სახალხო სახლში გაიხსნა საზამთრო სეზონი სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარმ. მმართველი წრისა. სეზონი გაიხსნა ჩვენი საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი პიესით: „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“. ამ პიესის შინაარსს ჩვენი მკითხველები უკვე იცნობენ. პიესაში, როგორც რეალისტურ ნაწარმოებში, და აგრეთვე მხატვრობის მხრივ ბევრი სუსტი მხარეებია. ამას გარდა მას ეხლა ასე ვსთქვათ უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. განვლილი ხანა ყოველმხრივი რეაქციისა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას და მის მთავარ მამოძრავებელ ძალას—სოციალურ დემოკრატიას თავის დაღს ასვამდა და მრავლად ჰქმნიდა ცხოვრების მახინჯთ, ლეონ-ბერგისთანა ტიპებს. საბედნიეროდ ასეთი ხანა წავიდა და მას ვერავითარი შინაგანი ძალა ჩვენი სახელმწიფოსი ვერ დაამყარებს, მთავარი აზრი—საზოგადოებრივი რეაქცია, მისი მკაცრი შედეგები და ამავე დროს დაუსრულებელი, მგრძნობიარე თუ აშკარა ცივ-აზროვანი, ლტოლვა მაღალ იდეალებისადმი—პიესაში საკმაოდ მხატვრულადაა გადმოცემული, რომელი მოტივიც, კარგ ქართულ ენაში ჩამოყალიბებული და სცენაზე გადმოტანილი ასე თუ ისე აკმაყოფილებს დრამატიული ხელოვნური ნაწარმოების მთავარ მოთხოვნილებას—შიგ გამოჭკრთის მოქმედება.

ჩვენის აზრით, მთავარი გმირები: ლეონ ბერგი, ვანო და ირაკლი კოვზირიძე, როგორც წინათ გვინახია, ეხლაც მხოლოდ ისეთები იყვნენ მსახიობების მიერ სცენაზე დასურათხატებულნი. ახალი მათში არა გვინახია რა. მართებული კია მათ ასრულებაში ახალი ნაკვთები იქნეს შეტანილი. ამის თქმა უფრო უპრიანია ალ. შანშიაშვილზე, რომლის ნიჭის კუთხულია ამგვარ როლების (ირაკლი) ასრულება. ნ. ჭანკვეტაძეს (ლეონ-ბერგი) აკლდა მსახიობ-ხელოვანისთვის მუდამ საჭირო სიცოცხლე და სადაობა. თ. გოგოლაშვილის (ვანო) ძალდატანება და ალაგ-ალაგ გადაჭარბება ეტყობოდა. მხოლოდ სულ [illegible] ალგი—ჰქუაზე შეცდომა—ბუნებრივად ჩაატარა. მხოლოდ [illegible] რეგან ყარდაშ[illegible] უებრო.

ვერ ვიტყვით, რომ [illegible] მსახიობნი ანსამბლს ხელს უწყობდენ: ზოგმა ორ-სიტყვიანი როლიც არ იცოდა. ს. რომანიშვილი ნიჭიერ მსახიობათაა ცნობილი, მაგრამ მისი კილო ზოგიერთ ალაგას სრულებით არ შეეფერებოდა როტმისტრ ხრაპის კილოს.

საზოგადოებაც ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. გვგონია, რომ მელპომენის ტაძარი დემოკრატიის მიერ მეტადაა პატივსაცემი. პუბლიკის უადგილო და დაუსრულებელი „ს… ს… ს…“ მხოლოდ ისედაც მკრთალ შთაბეჭდილებას აქრობს. მომავალში ალბად უკეთესი პიესები დაიდგმის, უკეთესადვე ასრულებული და დროზევე დაწყობილი. ხსენებული წარმოდგენა კი 40 წამით გვიან დაიწყო.

მ.

## ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

**ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲜᲘ.** კვირას, 29 ენკენისთვეს პროფესიონალურ კავშირების შენობაში მოხდა ღვინის სარდაფებში და კანტორებში მომუშავეთა შეერთებული საზოგადო კრება. კრებას დაესწრო თფ. გუბ. შრომის კომისარი ლ. ელბაქიანი, რომელიც ვრცლად შეეხო დღევანდელ მომენტს. მის მოხსენებას მუშები აღფრთოვანებით შეხვდენ და აღუთქვეს უკანასკნელი სისხლის წვეთამდე მათთან ყოფნა და მხარის დაჭერა. შემდეგ მოხსენებას აკეთებს კომისია, რომელიც არჩეული იყო კომისარის მიერ სარდაფების დასათვალიერებლათ და იმ უთანხმოების გამო სარკვევათ, რომელიც ქალების ღვინის ჩამოსასხმელებზე დაყენებამ გამოიწვია. საქმე შემდეგშია: ღვინის ჩამოსასხმელ მანქანებზე ყოველგან და ყოველთვის მუშაობდენ მამაკაცები, მაგრამ „კავშირთა კავშირის“ ფირმამ ქალები დააყენა ღვინის ჩამოსასხმელებზე, რამაც გამოიწვია პროტესტი მუშებში. ამის გამო შესდგა კომისია, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქალთა და მამაკაცთა სამუშევრები. კომისიაში შედიოდენ ექიმი ქალი ზანდუკელი, კომისარი ელბაქიანი და პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელი არსენ თოდრია. კომისიის მოხსენებიდან ირკვევა, რომ ყველა სარდაფს მუშები მეტათ ცუდ მდგომარეობაში არიან სანიტარული პირობების მხრით, გარდა ამისა არ არის ყველგან სათანადო წინსაფარები, ექიმის დახმარება და სხვა, რაზედაც კომისარმა მიიღო შესაფერი ზომები. რაც შეეხება ღვინის ჩამოსხმის კითხვას, კომისიამ გადასწყვიტა არ დაანაწილოს სამუშევრები კაცთა და ქალთა მიხედვით, რადგან მუშა ქალთა და კაცთა შორის არ უნდა არსებობდეს ასეთი დანაწილება. ბოლოს კრებამ დაადგინა დაარსოს თავიანთ შორის საავათმყოფო კასა, რომლის სასარგებლოთ იხდიან ორ პროცენტს ჯამაგირისას, ამის გამო აირჩიეს კიდეც მომწყობი და წესდების შემმუშავებელი კომისია 8 კაცისაგან, საჭიროა კომისიის ენერგიული მუშაობა საქმის კარგათ და დაჩქარებით მოსაწყობათ.

ა. იანეულისელი.

## Ს.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

**ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ** სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენლების კონფერენცია.

კვირას, 29 სექტემბერს ქ. სიღნაღში სამაზრო სასამართლოს დარბაზში შესდგა მაზრის სოც.-დემოკრატ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია.

დაესწრო ორმოცდა ათი წარმომადგენელი. დაესწრენ აგრეთვე თფილისიდან საგანგებოდ ამ ყრილობაზე გამოგზავნილი საოლქო კომიტეტის წევრი ვლ. ახმეტელაშვილი და რ. ჩიხლაძე, რომელნიც ერთხმად კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეებათ იყვნენ არჩეულნი.

კონფერენცია დაიწყო დილის 10 საათიდან. კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ს. ნატროშვილი, მდივნად ლ. ხუციშვილი.

დღიურ წესრიგის პირველ კითხვაზე, თანამედროვე მდგომარეობაზე ვრცლათ მოხსენება გააკეთა ამხ. ვლ. ახმეტელაშვილმა.

მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მიიღო ასეთი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ვლ. ახმეტელაშვილის მოხსენება პოლიტიკურ მომენტის შესახებ სიღნაღის მაზრის სოციალ დემოკრ. კონფერენცია აღიარებს, რომ ქვეყნის პოლიტიკის მწარმოებელ საოლქო კომიტეტს, იმ ადვილად გასაგებ პირობების გამო, რომელიც შეიქნა საქართველოს ხალხის გარშემო, უნდა გადაედგა ის ნაბიჯები, რომელმაც მიიყვანა საქართველო დამოუკიდებლობამდე. ვიწონებთ ამ ნაბიჯებს და გადავდივართ მორიგ საკითხზე“.

მეორე დღიურ კითხვაზე, მიწის საკითხზე, მოხსენება გააკეთა ამხ. რაფ. ჩიხლაძემ.

მომხსენებლის სიტყვით ის კანონი მიწის შესახებ, რომელსაც ჩვენი პარტია მხარს უჭერს და რომელიც ეროვნულ საბჭოში მიღების შემდეგ, ცხოვრებაში უნდა გატარდეს, აგებულია შემდეგ დებულებებზე.

1) მიწა ჩამოერთმევა ყველას, თავადს, გლეხს და სხვას, ვისაც ნორმაზე, შვიდ დესეტინაზე მეტი აქვს.

2) ჩამორთმეული მიწება გადაეცემა გლეხობას კერძო საკუთრებად.

3) მან, ვინც მიწას მიიღებს, უნდა გაიღოს ფასი, რომელიც დიდი არ უნდა იყოს.

4) მიწები ღარიბებს უნდა მიეცეს შეღავათიან პირობებში. არავის უნდა გაუძნელდეს მიწის ფასის გაღება. ძალიან ღარიბებს სახელმწიფომ უნდა შეაძლებინოს მიწის შესყიდვა.

ჩვენი პარტია იძულებული იყო მიეღო ეს კანონი იმიტომ, რომ ჯერ ერთი ხაზინა ცარიელია და რომ მიწის ჩამორთმევა და გლეხებისთვის მიცემა უფასოდ არ შეუძლიან, მეორე მიტომ, რომ შემდეგში, როდისმე, საქართველოში ძალა უფლება, შესაძლებელია, ისევ თავად აზნაურობამ ჩაიგდოს ხელში და მიწების უკან დაბრუნება მოინდომოს. გლეხ-კაცობას თუ მიწა უფასოდ მიეცა, მაშინ ის ადვილად დასთმობს ამ მიწებს და დაღუპავს თავსაც და საქართველოსაც. მაგრამ როცა გლეხკაცობა თავის ნაოფლარი ფულით შეიძინს მამულს, ის არც თავად აზნაურობას მისცემს ბატონობის უფლებას და არც არავის დაანებებს მიწას. ასეთი გარემოება კი საქართველოს თავისუფლებას შეინახავს და განამტკიცებს.

ამ მოხსენებით გამოწვეულ მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ერთი ხმის წინააღმდეგ შემდეგი რეზოლიუცია: სოციალ-დემოკრ. სიღნაღის სამაზრო კონფერენცია რევოლიუციის და ხალხის გამარჯვებისთვის საჭიროთ აღიარებს, რომ ჩამორთმეული მიწები გადაეცეს გლეხკაცობას კერძო საკუთრებად, რომ საჭიროა გლეხობამ გაიღოს ამ მიწებში ერთდროული სასყიდელი, რომელიც საჭირო იქნება ჩამოსართმევ, ჩასაბარებელ და სხვა მოსალოდნელ ხარჯების დასაფარავად.

მესამე საკითხის, პარტიული ყრილობის შესახებ კონფერენციამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა გაიწიოს ენერგიული მუშაობა და მომზადება მომავალ ამიერ კავკასიის სოციალ-დემოკ. წევრთა პარტიული ყრილობისთვის.

სამაზრო ადმინისტრაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კრაწაშვილმა. ილაპარაკეს სხვებმაც. გამოირკვა, რომ სამაზრო ადმინისტრაცია ძლიერ სუსტია. ხშირია ბოროტმოქმედებაც. ამის შესახებ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. იოსებ კრაწაშვილის მოხსენება სამაზრო ადმინისტრაციის შესახებ, სიღნაღის მაზრის სოც. დემოკრ. კონფერენცია ავალებს საოლქო კომიტეტის წარმომადგენლებს, რათა მათ მიერ იყოს აღძრული სათანადო შუამდგომლობა, რათა საჩქაროთ იყოს მთავრობისაგან დანიშნული შესაფერისი კომისია სიღნაღის მაზრის ადმინისტრაციის მოქმედების გამოსაძიებლად.

ერობის გამგეობის წევრების გამონახვა მიენდო კოლექტივს.

ბოლოს მოხდა სამაზრო კოლექტივის წევრების არჩევნები. აირჩიეს ხუთნი: იოსებ კრაწაშვილი, მათე ახმეტელაშვილი, იოსებ გოცირიძე, ლეონიდ ხუციშვილი და სიმონ ნატროშვილი.

კონფერენცია ამით დამთავრდა.

ს.

# პროვინცია

**ოზურგეთი.** როგორც იქნა ველირსეთ ჩვენი ჯარის ჩამოსვლასთან ერთად სამხედრო ლაზარეთის ჩამოსვლას, რომელიც მოთავსდა ადგილ. პირ. დაწ. უმ. სასწავლებლის შენობაში, ლაზარეთს აქვს 100 საწოლი, და მოწყობილია საუცხოვოთ, ლაზარეთის ინვენტარი დღევანდელ ფასობაზე ორი მილიონის ქონებას შეადგენს. ხსენებული ლაზარეთი ემსახურება გარნიზონს და აგრეთვე დიდ დახმარებას უწევს კერძო მცხოვრებლებსაც, რაიც გამოიხატება ავადმყოფების მიღებაში და საექიმო დახმარებაში. როგორც ხმები დადის ხსენებული ლაზარეთი ეხლა გადააქვთო თუ ლიკვიდაციას უშვებიან და ოზურგეთში მხოლოდ 20—30 საწოლს დატოვებენო. ეს კი არა სასურველია, მეტადრე ის ქონება, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე, დიდ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენში ერობა გამტკიცდება და ამაზე მგონი კარგი იქნება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს ჩვენი ქალაქის თვითმართველობა და აღძრავდეს შუამდგომლობას, რათა დატოვებულ იქნას ეს ლაზარეთი სრულის მოწყობილობით ოზურგეთში.

— ორშაბათს, 23 სექტემბერს ადგილ. დრამ. წრ. დამსახურებულ სც. მოყვ. ს. ხურციძის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოადგინეს, ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა „მსხვერპლი". შინაარსიანი პიესა სრულის ანსამბლით მოწყობილი წარმოდგენა, პიერეტას საუცხოვო თამაში. აი რითი აღინიშნა პიესის მსვლელობა. ხალხი კი ნაკლები დაესწრო.

ლაშისპირელი

---

**ს. ერკეთი** (გურია). ერკეთის საზოგადოება წარმოადგენს გურიაში ერთ-ერთ მთა გორაკებით დაფენილ მხარეს. ამ საზოგადოების სოფლებს შეადგენს ზოტი და ჩხაკოურა, რომელშიაც ცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები რიცხვით 150 კომლი, ბუნება აქ საუცხოვოა, ჰაერი იზიდავს ზაფხულობით მრავალ მოაგარაკეთ. მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ ეს სოფლები დაშორებულია დაბა ჩოხატაურს 35 ვერსით და ხალხი ვერ სარგებლობს დაბის ექიმითა და წამლებით. გურიის დამხმარე კომიტეტმა გურიის ყველა საზოგადოებებში გახსნა საფერშლო პუნქტები და გამოსტოვა სწორედ ეს საზოგადოება. საზოგადოება ძლიერ აღელვებულია, როდესაც გაიგეს, რომ ისეთ ადგილებში, როგორიცაა ბახვი, ასკანა, ნაგომარი, სადაც კარგი გზებია შედარებით და ექიმ ფერშლები იშოვნება, უკვე გაიხსნა საფერშლო პუნქტები და ერკეთი კი, რომელზედაც ყველაზე უწინ უნდა მიექციათ ყურადღება, გამოტოვებულია. თუ არ იყო საშვალება, მაშინ უნდა დაეტოვებინათ ისეთი საზოგადოებები, რომლებიც უახლოვდებიან ჩოხატაურ ოზურგეთ-ლანჩხუთს, საიდანაც ხალხს საშვალება ეძლევა საექიმო დახმარებისა. ერკეთის საზოგადოების აღმასრულებელმა კომიტეტმა მიაქცია ყურადღება ამ მოვლენას და მოიწვია ყველა სოფლებიდან მოწინავე პირთა ყრილობა, სადაც დღის წესრიგში იდგა ორი კითხვა: საზოგადოების გაყოფა და საფერშლო პუნქტის გახსნა. პირველი კითხვის შესახებ დადგენილ იქნა: მართალია ერკეთის საზოგადოება თავისი გეოგრაფიული მდებარეობით უსათუოდ უნდა გაიყოს, მაგრამ, რადგანაც სამაზრო ერობა უნდა შეუდგეს საზოგადოებრივი წვრილი ერთეულების შედგენას ახლო მომავალში კითხვა დარჩეს ღიათ. მეორე კითხვის შესახებ დაევალა ვ. მამალაძეს და პ. ბერიძეს აღძრან შუამდგომლობა გურიის დამხმარე კომიტეტთან საფერშლო პუნქტის დაჩქარებით გახსნის შესახებ, რადგანაც აქ სიმშილობას გამო ავადმყოფობა მუსრს ავლებს ხალხს და საექიმო დახმარება კი არსაიდან არის.

ვ. მ.

---

**სოფ. წაღვერი** (ბორჯომის ხეობა). ამ სამი თვის წინეთ სხვადასხვა პროვაკაციისთვის იქმნა დათხოვნილი სამსახურიდან წაღვერის რაიონის ტყეების გამგე ბ. ტატოსიანცი, ახლად დანიშნულმა ტყეების გამგემ ბ. გ. ნ. სალარიძემ შეიბრალა იგი და დაუთმო ორი ოთახი; მადლობის ნაცვლად ბ. ტატოსიანცი მის წინააღმდეგ ათასგვარ ჭორებს და ცილისწამებას ავრცელებს და პროვაკატორობას და მთავრობის პრესტიჟის დაცემასაც არ ერიდება. საჭიროა ამისანა საზოგადოებრივი ცხოვრების დამღრვევი ელემენტები თვით საზოგადოებამ ალაგმოს.

მნახველი.

---

**სოფ. ნოსირი** (სამეგრელო). ეს სოფელი შედგება არა ნაკლებ ათას კომლი მოსახლეებისაგან, ამ სოფელს ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს ჰქონდა გახსნილი სამკითხველო, სადაც მოიპოვებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და სამკითხველოს საქმეც შეძლების და გვარ მოწესრიგებული იყო უკანასკნელ 1918 წლამდე. ამ წელს კი სამკითხველო გადაიქცა სამიკითნოთ. მე პირადათ არა ერთხელ და ორხელ შემხვედრია ჩამოსვლა, მაგრამ უკანასკნელ დღემდე სამკითხველო დაკეტილი იყო, ახლა კი ეს შენობა მოქეიფების ადგილად არის გადაქცეული. სამკითხველოს ყავს გამგეთ აქვსენტი გულუა (მასწავლებელი). მას სამკითხველოში წიგნები თურამ მოიპოვებოდა გადაუტანია იქვე სკოლის შენობაში და ინახება არქივში. ამასთანავე სამკითხველოს ძირითადი თანხა ჰქონია 300 მანეთი. საჭირო არის ბ. აქვსენტი გულუამ გაიღოს უფრო მეტი ენერგია და განაგრძოს სამკითხველოს თვის მუშაობა ან სულ უარი სთქვას მაზე.

ე. დუდუჩავა.

---

**ლეხ.-ონოღლის საზოგადოება.** სამეგრელო). ეს საზოგადოება შეადგენს ალმოსავ. ნაწილს სამეგრელოსას, მდებარეობს მდ. ცხენისწყლის პირად და შესდგება ოთხი სოფ.: ლეხაინდრავო, ნაჯახოვო, ნაგებერავო და ონოღია. ამ საზ. მცხოვრებლების დიდ საშვალებას შეადგენს სიმინდის მუშაობა და მევენახეობა. აბრეშუმის ჭიის მოშენებასაც მისდევენ. კულტურულად ეს საზოგადოება მაღლა სდგას. ოთხივე სოფლებში არსებობს სამკითხველოები, კოოპერატივები და სკოლები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ს. ონოღიას, სადაც ხალხის მოღალატეებმა დახურეს უკვე არსებული სამკითხველო და მის მაგივრად მოაწყვეს სავაჭრო. მადლობის ღირსია ნაგებერავოს სამკითხველოს გამგეობა, რომელსაც ისე მოუწყვია საქმე, რომ ეს სამკითხველო მთელ საზოგადოებას აწვდის სულიერ საზრდოს. ინტელიგენცია აქ მაღლა სდგას. იმართება წარმოდგენები ადგ. კულ. დაწ. სასარგებლოდ.

ბოლშევიკურ ოცნებებს აქ ალაგი არ აქვს. ხალხმა გაიგო თუ რაში იყო საქმე და ღირსეულად აფასებს მათ, მხოლოდ მეტად გავრცელებულია ყაჩაღობა. თუმცა მთელ საზოგადოებაში დარაჯებია დაყენებული, მაგრამ მაინც ვერ მოეღო ბოლო ავაზაკობას. ყოველ დღე გაიგონებთ ახალ ამბებს—ცარცვა-გლეჯას.

მობილიზაციის საქმე აქ კარგად მიდის, ქუთ. გუბ. კომისარის ბრძანება იყო, რომ ბანძის რაიონის ახალგაზრდობა (ჯარში გასაწვევნი) გამოცხადებულიყვნენ დ. ნაოლალევში 23 სექტ. რადგანაც ტეხნიკურად ძნელი იყო ნაოლალევში წასვლა ითხოვეს მთავრობის წინაში, რათა კომისია გადმოეტანათ დ. ბანძაზე, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. 24 სექტ. დ. ბანძას მოაწყდა აუარებელი ახალგაზრდობა ექვსი საზოგადოებიდან. კომისიაც ენერგიულად მუშაობდა. სითავისუფლე მისცეს, მხოლოდ ავადმყოფებს ერთი წლით, დანარჩენი სულ ყველა მიღებულ იქნა, გარდა მოწაფეებისა. ამავე დღეს ბევრი გაგზავნილ იქნა ახალ-სენაკში; დანარჩენი გაიგზავნება 25 სექტ. დილით. ლეხ.-ონოღლის საზ. ახალგაზრდობა მომზადებულად შეხვდა ამ მობილიზაციას. უკლებლივ გაემგზავრნენ 24 სექ. დ. ბანძაში.

მთელი ამ საზოგადოების მომწამვლელი სენი არის ლოთობა. ყოველ დღე შეხვდები აქა მოქეიფეებს, რასაც მოყვება, ტყვიის სროლა, ჩხუბი, აურზაური და კიდევ ვინ იცის რა, რომლის შედეგი არის მცხოვრებლების შიში და თავზარდაცემა. მაგრამ ამას არავინ აქცევს ყურადღებას.

სოფლის კომისიებისაგან ჩამორთმეულ მიწების შესახებ აქაც იჩინა თავი მემამულე და მუშებს შუა უთანხმოებამ. მემამულეების დიდი სურვილია, რაც უნდა დაუჯდეს, მოსტაცონ ამ წელს მოსავალი გლეხებს, ამიტომ არავითარ ცრუ ჭორებს არ ერიდებიან. ამით სურთ შეაშინონ გლეხობა. მაგრამ მემამულეებს იმედი უცრუვდებათ. ადგ. სოც.-დემოკრატიულ წევრთა კრებამ და ადგ. გლეხთა საბჭოს წევრებმა დაადგინეს და საზოგადო კრებას წარუდგინეს შემდეგი: „ნორმაზე ზევით ჩამორთმეულ მიწაზე თუ ვინმე მუშაობს, ის უხდის მეათედ ნაწილს მოსავლისას მიმღებ კომისიას (იჯარის მაგივრად) და არა მემამულეს. ვინც მუშაობს ნორმის მიწაზე—ის კი მესამედს უხდის პატრონს".

აქ ჯერ კომისია არ მოსულა.

არის ასეთი შემთხვევა: მამა შვილს ყოფდა, რათა მას მიმღებ კომისიამ დაუტოვოს მეორე 7 დეს. მიწა, ამიტომ ქუთაისშიაც არიან წასულნი და ცდილობენ ამისთანა ბნელი საქმის გაკეთებას. საჭიროა კომისიის წევრებმა დაჰკითხოს საზოგადოებას (თუ ამისთანა შეხვდათ) იყვნენ ისინი დღემდე გაყოფილნი თუ არა? სცხოვრობდენ თუ არა ცალ ცალკე? თუ კომისია, რომელსაც დღითი-დღე მოველით ლეხ. ონოღლის საზოგადოებაში, ასე მოიქცა, მაშინ მემამულეები თავის „საგმირო საქმეებს" ვერ გააკეთებენ და კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ. რა არ სცადეს, როგორც მთავრობის, ისე მიწის რეფორმის წინააღმდეგ ჩვენმა „მამულიშვილებმა", მაგრამ სინამდვილეს აბა ვინ გაექცევა.

ერთ ერთ კრებაზე სოც.-დემ. კრებამ გამოყო საგანგებო კომისია, რომელიც ყოველგვარ დახმარებას გაუწევს მიმღებ კომისიას მიწის ჩამორთმევაში.

პ. ონოღიელი.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: 28 და 29 სექტემბერს თფილისის ქუჩებზე მოწყობილი იყო ქართული ლატარიის ბილეთების საჯაროთ გაყიდვა, რომლის შემოსავალმაც თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო.

უღრმესი მადლობას უძღვნის ამ დღეების მომწყობი კომისია და ლატარიის გამგეობა ყველა იმ პირთ, რომელთაც უსასყიდლო მონაწილეობა მიიღეს ბილეთების გავრცელებაში და განსაკუთრებით სამხედრო სამინისტროს ავტომობილებით რე ლამების გავრცელებისათვის, მიწადმოქმედების მინისტრს და ბ-ნ აკ. ხოშტარიას ეტლების დათმობისათვის. პატივცემულ მანდილოსნებს ქ-ნთ აბველდიანისას ელ., კნ. ბეგთაბეგიშვილისას, გაბაშვილისას ნ., გვარჯალაძისას ბ., გველესიანისას, თიკანაძისას, კვინიხაძისას, ნაკაშიძეს, მანველტაშვილისას, მუსხელაშვილისას, ჩერქეზიშვილისას ელ., ციციშვილისას, წერეთლისას, ჯავახიშვილისას, ხოშტარიასას ცალკე მაგიდებისა და კიოსკებში ბილეთების გასაღებისათვის და აგრეთვე ქართული თეატრის მსახიობ ქალთა ანდრონიკაშვილს და ჩერქეზიშვილს, დრამატ. საზოგადებ. სტუდიის წევრ., დამსახურებელ მსახიობ ვასო აბაშიძეს და ბ. ვარლამ აბვლდიანს ენერგიული დახმარებისათვის; სახელმწიფო თეატრის კომისარს ბ. ა. წუწუნავას თეატრთან კიოსკის მოწყობისათვის.

ლატარიის დღეების მომწყობ კომისიის თავმჯდომარე მ. რამიშვილისა, გამგედირექტორი და ლატარიის გამგეობა.

---

**ღია წერილი ბათუმის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობას.**

ბათუმის დაკარგვის შემდეგ თვითმართველობის მოსამსახურენი დაიქსაქსენ და სხვადასხვა ქალაქებში თუ სოფლებში გაიფანტნენ. ზოგმა მათგანმა უკვე ახალი ადგილები იშოვა, ბევრნი კი უსაქმოთ არიან და დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან. ბათუმისა, თუ ბათუმის ოლქის ბევრ დაწესებულების ლიკვიდაცია უკვე მოხდა და მოსამსახურეებმაც ხვედრი სალიკვიდაციო ფული მიიღეს. ბათუმის თვითმართველობის ლიკვიდაციის შესახებ ჯერ არაფერი ისმის, და არ ვიცით, მიიღებენ თუ არა მოსამსახურეები სალიკვიდაციოს. მოსამსახურეთა კავშირს, რასაკვირველია თავისი ფულიბი ჰქონდა. საინტერესოა ვიცოდეთ ამ ფულის ანგარიშები და რაოდენობა. საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ, მოისწრო თუ არა, ერთი დღის შემოსავლის უმუშავართა სასარგებლოდ შეკრებილ ფულების დანიშნულებისამებრ გადაცემა. და თუ ვერ მოასწრეს გადაცემა, სად ინახება ის ფულები? ვსთხოვთ ამხ. გამგეობის წევრებს ყველა ამ კითხვებზე პასუხი მოგვცენ, და აგრეთვე საჭიროა ვიცოდეთ ისიც, რას ფიქრობს გამგეობა ზემო ნათქვამ ფულების შესახებ.

ბათუმის თვითმართველობის მოსამსახურენი ეგ. ურუშაძე, ანტონ სიხარულიძე, თინა სიხარულიძე იოსებ ერქომაიშვილი, მარიამ მამულაიშვილი.


# განცხადებანი

## იყიდება

რუსეთში გამგზავრების გამო საუცხოვო ალაგას საჩქაროდ გასტრონომიული მაღაზია საქონლით და მოწყობილობით. იქვეა სხვადასხვა სასმელები და მათი შესანახი ალაგი. არის ელექტრონის განათება და „სჩოტჩიკი" მიხეილის ქუჩა, № 173, მაღაზია „ყარსი".

---

ექიმი
**ლ. ა. სარალიძე**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაჭების ავადმყოფობისა. მიღება 1—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

---

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

**ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53.

---

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით** ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ სადამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფეცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77

---

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

**ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი**
**(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა)** ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

---

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

---

ექიმი
**ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე**
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათ. მყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

---

**მედიცინის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**
**გ. გ. მეგრაბიანცი**
**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

**ექ. დიასამიძემ** განაახლა სახლში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. ნაშ. და 5—6 საღ. ოლღას ქუჩა, სახ. № 15. ტელ. 18—03.

---

**გაიხსნა თვალის საავადმყოფო**
(მუდმივი საწოლებით)
**ექიმ ჯორჯაძე**
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკის ... ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

---

**ძ. ხ ო ნ ი.**
**ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია.**
იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

---

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალურ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

---

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

**სამკურნალო კაბინეთი**
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
**პეპელიასი**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

**სახელმწიფო თეატრი.** ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკისა.

კვირას, 6 ოქტომბერს

## ტოსკა

ოპერა 3 მოქმედებათ, მუსიკა პუჩჩინისა.

**მონაწილეობენ:** ქ. ქ. სკვარეცკისა, დობროვოლსკისა, ვალიპსკი, ბ. ბ. ორდა, დემიანენკო, ეზროვი, კურბატოვი, ქურხული.

დირიჟორი **სამოსუდი.** დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ. წარმოდგენის გათავებამდე.

**ანონსი:** 7 ოქტომბერს—„აიდა", 8 ოქტომბერს—„რიგოლეტო".

---

**საქართველოს რესპუბლიკის**
## მომარაგების კომიტეტი

ამით აუწყებს სოფლის კოოპერატივებს, რომ მას აქვს გასაყიდად გადადებული 100,000 წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმიდან გაკეთებული.

**წყვილი ღირს ხუთ თუმნად (50 მან.)**

მომარაგების კომიტეტის (კომიტეტ სნაბჟენია) ახალი მისამართი: შტაბის ქუჩა, № 2. (2—1)

---

## ქალთა მეექვსე გიმნაზიის ქართულ კლასებში

(საანბანოდან დაწყებული მეოთხე კლასამდე) მოწაფეთა მიღება გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე. გახსნილია აგრეთვე **სომხური კლასებიც** საანბანოდან დაწყებული პირველ კლასამდე. (2—1)

---

## თფ. ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში: ქართულში, სომხურში, თათრულში (მუსულ.) და რუსულში საჭიროა **ხატვის მასწავლებლები** (ქალები თუ კაცები). იმ პირთ, ვისაც ჰსურს ხსენებულ თანამდებობათა მიღება უნდა ჰქონდეთ სპეციალური მომზადება ხატვაში და სამშობლო ენა უნდა იცოდენ. თხოვნები საჭირო დოკუმენტების კოპიებით მიიღება თფ. ქალაქის გამგეობასთან არსებულ სახალხო განათლების განყოფილებაში 20 ოქტომბრემდე. (2—1)

---

დღეს, 6 ოქტომბერს დილის 11 საათზე სახელოსნო კლუბში (მიხეილის პრ.) დანიშნულია ღვინით მოვაჭრეთა კავშირის

## საზოგადო კრება

წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

---

**ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში**

საჭიროა **ინსტრუქტორები** მცოდნე კოოპერაციისა როგორც თეორეტიულად ისე პრაქტიკულად. პირობები შემდეგია: უმცროს ინსტრუქტორს ეძლევა ჯამაგირი 1350 მან. თვეში, უფროს—1500 მან. დღიური და გზის ფასი ცალკე. თხოვნებს იღებს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა. მიხეილის პრ. № 178. (3—3)

---

## თფილისის სახალხო ინსტიტუტში

და მასთან არსებულ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს (ქართულ ენაზე) ინსტიტუტში გახსნილია ორი განყოფილება: 1. სიტყვიერებისა და ისტორიისა (ქართული ენა და ლიტერატურა, საქარ. ისტორია). 2. ბუნების მეტყველება და მათემატიკა.

**ცნობად:** 1) ინსტიტუტში შემოსვლა შეუძლია ყველას, ვისაც სავაჟო ან საქალო საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული და ან განსაკუთრებით სამასწავლებლო სემინარია. 2) ინსტიტუტში პირველ კურსზე ოცი სტიპენდიანტის ადგილია თავისუფალი. 3) თხოვნები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდი-მთავრის ქუჩა № 91. (6—2)


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.